**ედუარდ შევარდნაძე:** მინდა განვაცხადო და შევასრულო კიდეც, რომ 1994 წელი იქნება ჭეშმარიტად ქართული ჯარის, ჩვენი საიმედო დასაყრდენის ჩამოყალიბების წელი. ბევრი დაიღუპა, სამარადისო ხსოვნა მათ, ბევრი დასახიჩრდა, მათ მიმართაც ვალში ვართ, უდავოდ ბევრი გაკეთდა და მომავალ წელსაც ბევრს გავაკეთებთ!

(საახალწლო ტელეინტერვიუდან).

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 8 (811) | ხუთშაბათი, 13 იანვარი, 1994 წელი | ფასი 500 კუპონი

# ედუარდ შევარდნაძე თურქეთს ეწვია

## გამგზავრება

თბილისი. 12 იანვარი. (საქინფორმი-საკდესი). თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის მიწვევით 12 იანვარს თურქეთში ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით. ვიზიტის დროს ორი ქვეყნის ლიდერები განიხილავენ ურთიერთობის საკითხებს, რეგიონულ პრობლემებს. დასახულია მთელი რიგი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების დადება.

## გზად ბათუმში

12 იანვარს დილით ბათუმის აეროპორტში დაჯდა თვითმფრინავი, რომელშიც იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე**, საქართველოს და თურქეთს შორის უმაღლესი დონის ორმხრივი მოლაპარაკებისთვის ანკარაში რომ მიემგზავრებოდა.

დელეგაციის შემადგენლობაშია აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ასლან აბაშიძეც**.

გაფრენის წინ ასლან აბაშიძემ მოკლე ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს:

— დიდ იმედებს ვამყარებთ მომავალ მოლაპარაკებაზე, — თქვა მან. — უკანასკნელ დღემდე მიმდინარეობდა მუშაობა დოკუმენტთა პაკეტის მოსამზადებლად. ხელმოსაწერად მზად არის 9 დოკუმენტი. ხელშეკრულების ფარგლებში შეტანილია მთელი რიგი ჩვენი კონკრეტული წინადადებებიც, რომლებიც ხელსაყრელია ორივე მხარისათვის. ეს არის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა თბილისსა და ბათუმში, წისქვილკომბინატისა — ბათუმში, ნავსადგურის რეკონსტრუქცია და სხვ. განვიხილავთ აგრეთვე ენერგეტიკისა და ტრანსპორტის განვითარების, ტრაპიზონში საკონსულოს გახსნის, სამსუნში მეტროს მშენებლობის საკითხებს. შესაძლოა, ყველა ეს საკითხი ერთბაშად არ გადაწყდეს, საჭირო გახდეს მათი დახვეწა, მაგრამ მაინც, ვფიქრობ, ჩვენი წინადადებანი დააინტერესებს თურქეთის მხარეს. ახლა ჩვენთვის მთავარია მოვიზიდოთ ინვესტორები. ახალი ორმხრივი მოლაპარაკება ხელს შეუწყობს საქართველოში ეკონომიკური ვითარების სტაბილიზაციას, რადგან ეკონომიკა სახელმწიფოს ცხოველქმედების საძირკველია.

## გვირგვინით შეამკეს ათათურქის საფლავი

12 იანვარს, თურქეთის დროით დილის 10 საათზე, საქართველოს ოფიციალური დელეგაცია სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით ანკარაში ჩაფრინდა.

ვიზიტის პროგრამის შესაბამისად დელეგაციის წევრები ეწვივნენ ათათურქის მავზოლეუმს. სახელმწიფოს მეთაურმა ყვავილების გვირგვინით შეამკო ათათურქის საფლავი.

სასტუმროში დაბინავების შემდეგ დაგეგმილია თურქეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში გამგზავრება, სადაც უნდა შედგეს ქართული დელეგაციის მიღების ოფიციალური ცერემონია, ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და თურქეთის პრეზიდენტ სულეიმან დემირელის შეხვედრა პირისპირ.

## ვიზიტი გრძელდება

12 იანვარს, შუადღეს, ათათურქის მავზოლეუმის მონახულების შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში შედგა ქართული დელეგაციის მიღების ოფიციალური ცერემონია და ბატონ **ედუარდ შევარდნაძისა** და ბატონ **სულეიმან დემირელის** შეხვედრა პირისპირ.

ნახევარსაათიანი კონფიდენციალური საუბრის პარალელურად, მიმდინარეობდა შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელებისა და ექსპერტების საქმიანი შეხვედრები. შემდეგ სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს დელეგაციის ყველა წევრი მიუსხდნენ ორ ქვეყანას შორის ოფიციალური მოლაპარაკების მაგიდას.

უნდა აღინიშნოს, რომ ანკარაში წინასწარ ჩასულმა მოსამზადებელმა ჯგუფმა დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია, რამაც გააადვილა მოლაპარაკების პროცესი, პრაქტიკულად შეთანხმება მიღწეულია ყველა საკითხზე.

ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებით გადაიდგა შემხვედრი ნაბიჯები.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ბატონი ედუარდ შევარდნაძე ბატონ სულეიმან დემირელთან საუბრისას შეეხო შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების მნიშვნელობას.

ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა გააანალიზეს მსოფლიოში შექმნილი ვითარება და ამ ფონზე რუსეთისა და ნატოს ფაქტორი და როლი.

შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური შეხვდა თურქეთის პრემიერ-მინისტრს ქალბატონ ჩილერს.

13 იანვარს შედგება ხელშეკრულებათა სრული პაკეტის ხელმოწერა. დღეს საქართველოს დელეგაცია თბილისს გამოემგზავრება.

**სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო**

# ამჯერად აჭარაში!



ქართული თეატრის დღე — 14 იანვარი წლეულს ბათუმში აღინიშნება. ისევ ბათუმი, ისევ აჭარა ეპატიჟება თბილისს, სრულიად საქართველოს, თითოეულ ქართველ ხელოვანს, თეატრის ამ დიდებულ ზეიმზე, რათა ერთხელ და საბოლოოდ აღვდგეთ, ავმაღლდეთ ისე, რომ დავანახოთ ქვეყანას ქართველების, ჩვენი ეროვნული კულტურისა და ხელოვნების უდიდესი ძალა, ძალა, რომელსაც უნარი შესწევს, წინ აღუდგეს ჩვენს ირგვლივ დამკვიდრებულ სიძულვილსა და [illegible], დაგვწმინდოს, შეგვაკავშიროს, შეგვაერთოს.

მართლაც, განვლილი ორი ათეული წლის განმავლობაში რამდენი სიხარული, რამდენი გამარჯვება განუცდევინებია ჩვენთვის ქართული თეატრის საზეიმო დღეებს, თბილისში რომ აიდგა ფეხი და შემდგომ საქართველოს სხვა ქალაქებში გადაინაცვლა.

1979 წელს ბათუმმაც უმასპინძლა ქართული თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლებს, მაგრამ ეს წლევანდელი ბათუმური თეატრალური ზეიმი მართლაც განსაკუთრებული იქნება, რადგან, ჩვენდა საბედნიეროდ, ბათუმელებმა ამ საერთო გაჭირვების ჟამს შეინარჩუნეს ის, რაც ჩვენ ასე [illegible] დავკარგეთ — სიყვარულისა და აღმშენებლობის, სილამაზისა და თანადგომის უნარი.

14 იანვარს, ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე, რომელიც ბათუმის დრამატული თეატრის შენობაში გაიმართება, გამოცხადდება საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის ყოველწლიური პრემიები საუკეთესო თეატრალური ნამუშევრებისთვის. წლევანდელი თეატრალური შეხვედრის მთავარი მოვლენა ბათუმის სახელმწიფო თეატრის „აბესალომ და ეთერის" შესანიშნავი დადგმა იქნება.

ბოლო ხანს, ე. წ. „მცირე კონსტრუქციული" რეკონსტრუქციის შემდეგ, კვლავ უფრო გაფართოვდა თეატრის სცენა, საორკესტრო ორმო, დამონტაჟდა მექანიზმები, რომლის „სამუშაოთა მწარმოებელი და არქიტექტორი", ამ დიდი საქმის მოთავე და სულის ჩამდგმელი ბატონი ასლან აბაშიძე გახლავთ. ასე რომ, მობრძანდით, მეგობრებო, ბათუმი ქართული თეატრის დიდ საზეიმო დღესასწაულზე გეპატიჟებათ.

**გია ჟელიძე.**

ქ. ბათუმი.

# ჟენევა: იხილება კონფლიქტის სრული პოლიტიკური მოწესრიგების გზები

**ჟენევა**, 12 იანვარი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). აფხაზეთის კონფლიქტის სრული პოლიტიკური მოწესრიგების პერსპექტივები არის ქართველთა და აფხაზთა აქ მიმდინარე მოლაპარაკებაზე დისკუსიის მთავარი თემა. მოლაპარაკება მოეწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, რუსეთის ხელშეწყობით. იხილება შეთანხმების დადების შესაძლებლობა, რომელშიც აისახება ვითარების მოწესრიგების საკვანძო მიმართულებანი, უწინარეს ყოვლისა, გადაწყდება ხიზანთა და აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსის პრობლემები.

საქართველოს დელეგაციას მეთაურობს საგანგებო ვითარების დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ჯაბა იოსელიანი, აფხაზეთისას — აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე სოკრატ ჯინჯოლია. კონსულტაციებში მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ედუარდ ბრუნერი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი.

როგორც იტარ-საკდესის კორესპონდენტს საქართველოს დელეგაციის წევრმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მიხეილ უკლებამ განუცხადა, განსახილველად გამოტანილია დელეგაციათა მიერ წარმოდგენილ შეთანხმებათა რამდენიმე პროექტი. მონაწილენი იხილავენ აგრეთვე რუსეთის დელეგაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უზენაესი კომისრის სამმართველოს წინადადებებს აფხაზეთში ხიზანთა დაბრუნების პრობლემის შესახებ. მოლაპარაკების პირველ დღეს — სამშაბათს — გადაწყდა, აღნიშნა მ. უკლებამ, რომ 8 თებერვალს მოსკოვში კვლავ შეიკრიბება ექსპერტთა ჯგუფი, რომლებიც აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის წინადადებებს ამუშავებენ. ამ ჯგუფის პირველი სხდომა მიმდინარეობდა რუსეთის დედაქალაქში 15-16 დეკემბერს.

„მთავარი საკითხია მშვიდობის განმტკიცება, — განაცხადა იტარ-საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ს. ჯინჯოლიამ. — ამიტომ ჩვენი წინადადებაა შეიქმნას დაშორიშორების დერეფანი მდინარე ენგურზე და იქ შევიდნენ სამშვიდობო ძალები. ჩვენ ვამბობთ, — და ქართველთა მხარე ამას ეთანხმება, — რომ სამშვიდობო ძალების როლი შეუძლიათ შეასრულონ რუსეთის ჯარებმა. მოლაპარაკების მეორე საკითხი — აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ — იმდენად რთულია, რომ არც უნდა ველოდოთ, რომ ამის გამო რაიმე გადაწყვეტილება იქნება მიღებული დღესვე, მის განხილვას განაგრძობენ ექსპერტები მოსკოვში". როგორც ს. ჯინჯოლიამ თქვა, რაუნდის მონაწილენი დიდ ყურადღებას უთმობენ ხიზანთა პრობლემას. გამორიცხული არ არის, რომ პირველ ნაბიჯად შემუშავებული იქნება რეკომენდაციები აფხაზეთის ერთ-ერთ რაიონში ხიზანთა დასაბრუნებლად. დისკუსია ამ საკითხზე, როგორც ვვარაუდობთ, გაგრძელდება მოსკოვში თებერვალში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მხარეები სამუშაო ჯგუფის ფარგლებში სპეციალისტთა მონაწილეობით.

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

# ბრძანებულება

### ო. შენგელიასათვის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგის მინიჭების შესახებ

**მიენიჭოს** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის კონსულს **ოთარ შენგელიას** საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

**ე. შევარდნაძე.**

თბილისი. 1994 წლის 12 იანვარი.

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

# ბრძანებულება

### კ. ზალდასტანიშვილისათვის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგის მინიჭების შესახებ

**მიენიჭოს** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანს **კონსტანტინე ზალდასტანიშვილს** საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

**ე. შევარდნაძე.**

თბილისი. 1994 წლის 12 იანვარი.

## საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

# დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

**სამომხმარებლო** საქონელსა და მომსახურებაზე ფასებისა და ტარიფების გაზრდასთან და კუპონის კურსის დაცემასთან დაკავშირებით, მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. 1994 წლის 15 იანვრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე (თანამდებობრივი სარგოები, განაკვეთები და სხვა) განისაზღვროს თვეში 50000 (ორმოცდაათი ათასი) კუპონით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, თავდაცვის, სამართალდამცველ და ადმინისტრაციულ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის (უშიშროების სამინისტროს გარდა) ორგანოებში დასაქმებულ მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები და სარგოები, ყველა სახის დანამატები, წანამატები და მუშაკთა შრომის საათობრივი განაკვეთები სასწავლო მეცადინეობის ჩატარებისათვის გადიდდეს 100 პროცენტით, ხოლო არამომუშავე პენსიონერთა პენსიები, გარდა იმ პენსიონერებისა, რომელთა პენსიების მოწესრიგების ღონისძიებები განხორციელდა 1994 წლის 1 იანვრიდან, უმუშევრობის, ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებულის სტატუსის მქონე პირთა დახმარებები და შემწეობები — 150 პროცენტით.

2. დაწესდეს ბავშვიანი ოჯახებისათვის დახმარების შემდეგი ოდენობანი:

ა) ბავშვის დაბადებისას ერთდროული დახმარება — 100 (ასი) ათასი კუპონი;

ბ) მინიმალური ხელფასის:

— 50 პროცენტი — 1,5 წლამდე ბავშვის მოვლისათვის;

— 40 პროცენტი — 1,5-დან 6 წლამდე ბავშვის მოვლისათვის და 6-დან 16 (18) წლამდე დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლის მოსწავლეებზე, აგრეთვე, სახელმწიფო უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფესიული სასწავლებლების (კოლეჯების), კომერციული სასწავლებლების სტუდენტებზე (მოსწავლეებზე), რომლებიც არ მუშაობენ და არ იღებენ სტიპენდიებს, პენსიას და სოციალურ დახმარებებს;

— 30 პროცენტი — 3 წლამდე ასაკის ბავშვთა დედებზე, დიასახლისებზე, და უმუშევრებზე, რომლებიც არ იღებენ კანონით დადგენილ სხვა დახმარებებს (შემწეობებს);

გ) მარტოხელა დედებისა და ალიმენტის ურჩი გადამხდელი მშობლების ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება — მინიმალური ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით.

3. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიების ოდენობა განისაზღვროს ფრიადოსანი სტუდენტებისათვის მინიმალური ხელფასის 90 პროცენტის, მხოლოდ კარგი ან მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასების მქონე სტუდენტებისათვის — 80 პროცენტის, ხოლო აკადემიური წარმატების მქონე დანარჩენი სტუდენტებისათვის — 70 პროცენტის ოდენობით, შესაბამისად, სახელმწიფო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 70, 65, 60 პროცენტის ოდენობით; სახელმწიფო პროფსასწავლებლებში ფრიადოსანი მოსწავლეებისათვის სტიპენდიის ოდენობა განისაზღვროს მინიმალური ხელფასის 60 პროცენტის, ხოლო დანარჩენი მოსწავლეებისათვის—50 პროცენტის ოდენობით.

სახელობითი სტიპენდიების მქონე და დანარჩენი კატეგორიის სტუდენტთა, სპორტსმენთა, ასპირანტთა და დოქტორანტთა სტიპენდიები (შრომის ანაზღაურება) გადიდდეს 100 პროცენტით.

4. დახმარების ოდენობა დაკრძალვაზე განისაზღვროს 150 (ას ორმოცდაათი) ათასი კუპონის ოდენობით.

5. ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, თავდაცვის, სამართალდამცველ და ადმინისტრაციულ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები და სარგოები, ყველა სახის დანამატები, წანამატები და მუშაკთა შრომის საათობრივი განაკვეთები სასწავლო მეცადინეობის ჩატარებისათვის, არამომუშავე პენსიონერთა პენსიები, უმუშევრობის, ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებულის სტატუსის მქონე პირთა დახმარებები და შემწეობები, დაწყებული 1994 წლის 1 მარტიდან, ყოველთვიურად გადიდდეს 20 პროცენტით.

6. მორიგი კუთვნილი შვებულებები ანაზღაურდეს წინა თვის თანამდებობრივი სარგოების (განაკვეთების) მიხედვით.

7. საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდთან და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს და დაამტკიცოს შესაბამისი ინსტრუქციები და მითითებები.

8. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა, ეროვნულმა ბანკმა, სახელმწიფო კომერციულმა ბანკებმა უზრუნველყონ ხელფასების, სტიპენდიების, პენსიების და დახმარებების შეუფერხებელი გაცემა.

**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი**
**ო. ფაცაცია.**

თბილისი. 1994 წლის 11 იანვარი.

# საქართველოს დელეგაცია კიევში

**12 იანვარს კიევს ჩავიდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია.**

რკინიგზის სადგურში სტუმრებს დახვდნენ უკრაინის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ეფიმ ზვიაგილსკი, მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელები.

გუშინვე უკრაინის მინისტრთა კაბინეტში ოთარ ფაცაცია და ეფიმ ზვიაგილსკი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს.

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა აშშ-ის პრეზიდენტ ბილ კლინტონთან შეხვედრამდე, რომელიც მოკლევადიანი ვიზიტით ჩამოვიდა კიევში, საჭიროდ ჩათვალა შეხვედროდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს და ორი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაზე ესაუბრა მასთან.

ნაშუადღევს დაიწყო მოლაპარაკება საქართველოსა და უკრაინის მთავრობათა დელეგაციებს შორის.

საქართველოს მხრიდან მასში მონაწილეობდნენ ბატონები ოთარ ფაცაცია, ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრი მურთაზ ზანკალიანი, მრეწველობის მინისტრი ვლადიმერ კერესელიძე, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი მერაბ კაკულია, მინისტრთა მოადგილეები ვილენ ალავიძე და ბონდო ჯიქია, საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენელი უკრაინაში გიორგი სიგუა, უკრაინის მხრიდან — ბატონი ეფიმ ზვიაგილსკი და შესაბამის სამინისტროთა ხელმძღვანელები.

განიხილეს სამთავრობათაშორისი და დარგთაშორისი ხელშეკრულებების პროექტთა საბოლოო ვარიანტები, ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობის საკითხები.

**არმაზ სანებლიძე,**
„სრ" სპეც. კორ. კიევი (ტელეფონით).

# ბოლო სვეტი

## ნაღმზე აფეთქდნენ მდინარე ენგურთან

გალის რაიონის ათიათასობით მცხოვრებმა აფხაზ და ჩრდილოკავკასიელ ბოევიკთა ანგარიშსწორების შიშით, სამი თვის წინათ დატოვა მშობლიური კერა და თავშესაფარი ზუგდიდის რაიონში პოვა. ზოგიერთი მცხოვრები მაინც დარჩა მშობლიურ სოფლებში. მშობლები და ახლობლები, და-ძმები მდინარე ენგურის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. მდინარისა, რომელიც დაპირისპირების ხაზად ითვლება. ნათესავებს, ბუნებრივია, სურთ ნახონ ერთმანეთი. მაგრამ ამას ზოგჯერ სავალალო შედეგები მოსდევს: უკანასკნელი თვენახევრის მანძილზე 60-ზე მეტი კაცი, ენგურის არალეგალურად გადალახვისას აფეთქდა იმ ადგილებში, მდინარის შესართავის მახლობლად აფხაზების მიერ დადგმულ ნაღმებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს ქართველთა და აფხაზთა წარმომადგენლების მორიგების შესაბამისად, ყოველდღე დაახლოებით 25-30 კაცი ორივე მხრიდან სპეციალური ნებართვის მიღების შემდეგ, გადადის ზუგდიდის რაიონიდან გალის რაიონში და ბრუნდება უკან მდინარე ენგურის საავტომობილო ხიდით. აქ, საბედნიეროდ, ამგვარი ექსცესები არა ყოფილა. ხიდზე გადასვლა მშვიდად მიმდინარეობს და ხიზნებს აქვთ შესაძლებლობა, შეიტყონ, თუ როგორ ცხოვრობენ მათი ნათესავები გალის რაიონში.

• • •

## აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაციის სხდომა

12 იანვარს გაიმართა აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაციის სხდომა. მან განიხილა იმ მოთხოვნათა შემუშავების საკითხი, რომლებიც უნდა წამოაყენოს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე. ორგანიზაციის საბჭოს წევრებმა მოხაზეს პრობლემის არსი, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაჭრას. კერძოდ, უნდა განისაზღვროს რუსეთთან ურთიერთობა ჟენევაში მოლაპარაკების პროცესის დროს, შეიქმნას საქართველოს შეიარაღებული ძალები, განისაზღვროს ის, თუ როგორი ურთიერთობა ექნებათ სახელმწიფო სტრუქტურებს აფხაზეთის განთავისუფლების საქმეში.

სხდომის შედეგები შეაჯამა აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა ბორის კაკუბავამ.

როგორც ბორის კაკუბავამ განაცხადა, აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაცია გამოიტანს შესაბამის დასკვნებს და შეიმუშავებს მოქმედების შემდგომ პროგრამას.

## ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ფაქტებს ვერ წაუვალთ!

# აფხაზეთის ტრაგედია—დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ

**აფხაზეთში საქართველოს, მისი მოსახლეობის წინააღმდეგ აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩადენილია შემაძრწუნებელი დანაშაულობანი. როგორც საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტზე საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას უკვე მოპოვებული აქვს უამრავი მასალა, სრული სიცხადით რომ წარმოაჩენენ აფხაზი სეპარატისტების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოვლენილ სისასტიკეს. გამოძიებისადმი საზოგადოებრიობის უდიდესი ინტერესის გათვალისწინებით ჩვენი რედაქცია აგრძელებს ამ თემაზე პუბლიკაციების სერიას. საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი საქინფორმის კორესპონდენტს ამჯერად ესაუბრა აფხაზი სეპარატისტების მიერ მოწყობილი აფხაზეთის მიწაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტებზე.**

— საგამოძიებო მასალებით დგინდება მეტად შემაძრწუნებელი ფაქტები: აფხაზი სეპარატისტებისა და მათი რეაქციონერი დამქაშების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ორგანიზებული გენოციდი. აშკარად იკვეთება ამ უმძიმესი დანაშაულის ორგანიზატორების, აღმსრულებლებისა და თანამონაწილეების შეთქმულება. აფხაზმა სეპარატისტებმა, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით, ორგანიზებულად, მასობრივად დახოცეს სრულიად უდანაშაულო ათასობით ადამიანი. და ეს ადამიანები გასწირეს მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ქართული ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ. ამავე მიზნით საცხოვრებელი კერიდან აყარეს ასიათასობით მკვიდრი ქართველი მოსახლეობა, რასაც თან ერთვოდა ენით აუწერელი ტერორი, ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, მოქალაქეთა პატივისა და ღირსების ხელყოფა, საცხოვრებელი სახლების ნგრევა და საოჯახო ნივთების განადგურება, პირუტყვის, სატრანსპორტო საშუალებების დატაცება, ქართული მოსახლეობის ისეთ პირობებში ჩაყენება, რაც შემდგომში ამ ტერიტორიაზე დარჩენის შემთხვევისას მათ უცილობელ განადგურებას გამოიწვევდა.

ზოგიერთები ამაოდ ცდილობენ აფხაზეთში დატრიალებული ქართული მოსახლეობის გენოციდი როგორმე უარყონ და მოვლენები ახსნან საომარი მოქმედებების დროს ჩადენილი სისასტიკით. საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ეს მსოფლიო საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანის ცდაა. გამოძიება ნებისმიერ პირს წარუდგენს ხელთ არსებულ მასალებს იმის დასადასტურებლად, რომ სინამდვილეში მოხდა აფხაზეთის ტერიტორიის გეგმაზომიერი ეთნიკური წმენდა.

ალბათ, გაზეთის რამდენიმე ნომერიც კი ვერ აუვა იმ პირთა მხოლოდ ანკეტური მონაცემების ჩამოთვლას, რომლებიც მოკლეს აფხაზმა სეპარატისტებმა და მათ მიერ დაქირავებულმა მკვლელებმა. ეს დახოცილები ის პირები არიან, რომლებსაც საომარ მოქმედებებში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. ვერ ნახავთ აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებს, სოფლებს, სადაც ქართველ მოსახლეობას ცეცხლითა და მახვილით არ გასწორებოდნენ. პრაქტიკულად აფხაზეთში საომარი მოქმედებები დამთავრდა სოხუმის დაცემის შემდეგ — 1993 წლის 27 სექტემბერს. გამოძიებამ კი მოიპოვა უამრავი ფაქტობრივი მასალა, რომელიც საომარი მოქმედებების შემდეგ ქართველი მოსახლეობის მასობრივად ხოცვა-ჟლეტას ეხება. გამოძიებისთვის ცნობილია სეპარატისტ დამნაშავეთა ბრბო თუ რა არაადამიანური ცინიზმითა და თავხედობით აუპატიურებდა და შემდეგ ცოცხალ ქალებს ჰკვეთდა მკერდს. ბავშვებს, ჯერ კიდევ სქესობრივად მოუმწიფებელ გოგონებს ძუძუს კერტებს ჰკვეთდნენ, ასანთის კოლოფებში აწყობდნენ და ინახავდნენ. საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ამ ჩვენებებს ადასტურებენ არა მარტო ქართველი, არამედ ბერძენი, სომეხი, რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. მსოფლიომ რომ ობიექტურად და სრულყოფილად აღიქვას ტრაგედია, რომელიც ჩაიდინეს ფაშისტებმა აფხაზეთში, ამისთვის აუცილებლად მიმაჩნია გამოძიებაში დაუყოვნებლივ ჩაებნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. მიმაჩნია, რომ მეოცე საუკუნის მიწურულს ამოტივტივდა ბრბო, რომელთა ცხოვრების ასეთი წესის გავრცელებამ შეიძლება მოუშუშებელი ჭრილობა გაუჩინოს სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებ მილიონობით ადამიანსაც. ზოგი მოწმის ჩვენებით ისიც გამოირკვა, რომ ვანდალები უდანაშაულო ხალხის მკვლელობის შემდეგ მსხვერპლს შემდეგი სახის წარწერებსაც უკეთებდნენ — „ბევრს ნუ სჭამთ ქართველებო, არ გასუქდეთ, თქვენი გვამების თრევა უსიამოვნებას გვგვრის". შეძრწუნების გარეშე ვერ წაიკითხავთ თვითმხილველთა იმ ჩვენებებს, რომლებშიც ჩანს თუ როგორ დახოცეს სოხუმის დაცემის შემდგომ დღეებში ქალაქში წერეთლის ქუჩაზე მცხოვრები ა. გადელია, ო. გეგეჭკორი, უ. კვარაცხელია, ჯ. დგებუაძე, თ. კაკუბერი-გვახარიასი, ს. კაკუბერი, ასევე სოხუმელები ჯ. დარცმელია, ძმები ზაქრაძეები, შ. კაჭარავა, ეთერ და ზაირა აბრამიები, ზ. კალანდია, ბ. ფიფია, ვ. ჯიმშელეიშვილი, ც. შარია, ვ. ქვაჩახია, ა. კინწურაშვილი, დ. კოპალიანი, მ. კვირჩხაია. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილი ინჟინრის ნუგზარ ვარლამის ძე ჯიმშელეიშვილის ბედი გაიზიარა აფხაზეთში მცხოვრები ათასობით ქართველის ოჯახმა. მისი მამა ვარლამ ნოეს ძე ჯიმშელეიშვილი ტყვედ აიყვანეს, სახლ-კარი დაურბიეს, ხოლო უდანაშაულო ქალები — ნუგზარის დედა ბაბუცა ფიფია და სიდედრი მზია კალანდია წამებით დახოცეს. გარკვეული მოსაზრების გამო არ ვასახელებ 80 წლის ლ. ბ.-ის სრულ მონაცემებს. იგი წამებით მოკლეს, ხოლო მისი გაზრდილი რუსი ეროვნების ი. ტ. მისსავე საფლავზე დახვრიტეს, მხოლოდ იმისათვის, რომ მან გაბედა ქართველის დასაფლავება. ანალოგიური სისასტიკით მოკლეს მეზობლის ბინაში შეფარებული 60 წლის მ. შონია, აგრეთვე 68 წლის ნ. მირცხულავა, ცოლ-ქმარი ვ. და ა. კვარაცხელიები, ვ. არღლიანი.

გამოძიების მიერ მოპოვებული მონაცემებით, ქართველი ეროვნების მოსახლეობას ხვრეტდნენ ცალ-ცალკე და ჯგუფურად. ვიმეორებ, რომ ანალოგიური ფაქტების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა. ცალკე ხანგრძლივი საუბრის თემა იქნებოდა გალის რაიონში დატრიალებული ტრაგედიისა და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის ფაქტების აღწერა.

გრძელდება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჟიული შარტავასა და მისი თანმხლები პირების არაადამიანური მკვლელობის გარემოებების ძიება. დამატებით მიღებული საგამოძიებო მასალებით აშკარად ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ჟიული შარტავა და მისი თანმხლები პირები დაატყვევეს ქალაქ სოხუმში, აფხაზმა სეპარატისტებმა ისინი განსაკუთრებული სისასტიკითა და წამებით დახოცეს. მთელი სიცხადით გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ მკვლელობამდე მათ მიმართ გამოიყენეს წამების ხასიათის მქონე ძალადობრივი მოქმედებები, რაც ნათლად დადასტურდა სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევებით, დამატებით მიღებული მოწმეთა ჩვენებებითა და სხვა მასალებით. უცილობლად დგინდება, რომ ჟ. შარტავას, აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტის თანამშრომლებისა და სხვა პირების მკვლელობა სანქცირებული იყო იმ პირების მიერ, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფოს და მისი ხალხის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების პროვოცირება მოაწყვეს, რაც შემდგომში ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში გადაიზარდეს.

გამოძიების პროცესში დამაჯერებლად იკვეთება იმ პირთა ვინაობა, რომლებიც აფხაზ სეპარატისტთა განკარგულებით ახორციელებდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდს. მოპოვებული მასალები ცხადყოფენ, რომ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია, და ამიტომ, როგორც რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა განაცხადა, მის მონაწილეებს პასუხი მთელი სიმკაცრით უნდა მოეთხოვოთ.

# საქართველოს პარლამენტის
# დადგენილება
## „აქციზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

1. „აქციზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 1 იანვრიდან.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს თავისი დადგენილებების „აქციზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

3. საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანილ საქონელზე აქციზი ამოქმედდეს 1994 წლის 1 თებერვლიდან.

4. აქციზი არ გადაიხდევინება ამ კანონის მიღებამდე დადებული კონტრაქტებით საქართველოს რესპუბლიკაში 1994 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 1 ივლისამდე შემოტანილ საქონელზე.

5. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტმა 1994 წლის 20 იანვრამდე გაატაროს რეგისტრაციაში ამ კანონის მიღებამდე დადებული კონტრაქტები, რომელთა მიხედვით საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანილი საქონელი გათავისუფლებულია აქციზისაგან.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ამ კანონის მიღებიდან ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქცია „აქციზების გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ".

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქცია „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოტანილ და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან გატანილ საქონელზე აქციზების გამოყენების წესის შესახებ".

9. „აქციზების შესახებ" კანონი გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
**რუსუდან ბერიძე.**

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

---

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი
# აქციზების შესახებ

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. ეს კანონი შემუშავებულია „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს აქციზებით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების წესს.

2. აქციზი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც შედის საქონლის ფასში.

3. ამ კანონით დგინდება ღვინო-არყის, საკვები ნედლეულისგან დამზადებული ეთილის სპირტის (იმ სპირტის გარდა, რომელიც გაიცემა ლიქიორ-არყის ნაწარმისა და ღვინის პროდუქციის გამოსაშვებად), ლუდის, ჩაის, თართისა და ორაგულის ხიზილალის, ძვირფასი სახეობის თევზებისა და ზღვის პროდუქტების დელიკატესური პროდუქციის, შოკოლადის, თამბაქოს ნაწარმის, საღეჭი რეზინის, ძვირფასი ლითონებისგან და მელქიორისგან დამზადებული საიუველირო ნაწარმის, მსუბუქი ავტომობილების, მათი საბურავების, მანქანური ქსოვის ხალიჩებისა და ხალიჩის ნაწარმის, ნატურალური ტყავის ტანსაცმლის, ფაიფურისა და ბროლის ნაწარმის, საავტომობილო ბენზინის აქციზებით დაბეგვრის წესი.

**მუხლი 2. აქციზების გადამხდელები**

აქციზების გადამხდელებად ითვლებიან:

ა) საწარმოები და ორგანიზაციები, მათი ფილიალები და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც მდებარეობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და დამოუკიდებლად ახდენენ საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის რეალიზაციას, გარდა შემკვეთის მასალისაგან დამზადებული საქონლისა.

შემკვეთის ნედლეულისგან დამზადებულ საქონელზე აქციზის გადამხდელებად ითვლებიან საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც იხდიან ამ საქონლის დამზადების სამუშაოს ღირებულებას და ახდენენ მის რეალიზაციას.

ბ) ყველა იურიდიული, ფიზიკური და სხვა პირი, რომლებსაც შემოაქვთ აქციზური საქონელი საქართველოში.

**მუხლი 3. დაბეგვრის ობიექტი**

1. დაბეგვრის ობიექტად ითვლება საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის ღირებულება, რომლის რეალიზაცია ხდება გასაცემი ფასებით აქციზის ჩათვლით, აგრეთვე ამ საქონლის ღირებულება, რომელიც იცვლება სხვა საქონელზე ღირებულების გადაუხდელად (ბარტერული ოპერაციები).

2. იმპორტული აქციზური საქონლის საბაჟო ღირებულება.

3. აქციზის გამოყენების თავისებურებანი იმ საქონელზე (სამუშაოზე, მომსახურებაზე), რომელსაც შემოიტანენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან გაიტანენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან, შეიძლება დადგინდეს აქციზის ამოღების პრინციპის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებით.

**მუხლი 4. დასაბეგრი თანხა**

1. დასაბეგრი თანხის განსაზღვრისათვის რეალიზებული აქციზური საქონლის ღირებულება გამოიანგარიშება:

ა) თავისუფალი გასაცემი ფასებიდან გამომდინარე მათში აქციზის თანხის ჩათვლით;

ბ) სახელმწიფო რეგულირებადი ფასებიდან (სავაჭრო დათმობების გამოკლებით) გამომდინარე, რომლებიც შემცირებულია დამატებული ღირებულების გადასახადის თანხით.

2. საქონლის იმპორტისას დასაბეგრი თანხა განისაზღვრება ამ საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით.

**მუხლი 5. აქციზებისგან გათავისუფლება**

აქციზებისგან თავისუფლდება:

ა) აქციზური საქონლის ექსპორტი;

ბ) აქციზური საქონლის რეექსპორტი. თუ საქონლის შემოტანისას არ იყო იგი განცხადებული რეექსპორტისათვის ან იყო განცხადებული, მაგრამ ფაქტიურად არ მოხდა მისი რეექსპორტი 6 თვის განმავლობაში, მაშინ ეს საქონელი დაიბეგრება აქციზით;

გ) აქციზური საქონლის ტრანზიტი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით;

დ) საბაჟოს საწყობებში მოთავსებული იმპორტული აქციზური საქონელი. ამ საქონლის დაბეგვრა ხდება დადგენილი წესით საწყობებიდან მიმოქცევაში გაშვებისმომენტში, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმის პირობებში — ამ რეჟიმის შესაბამისად;

ე) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი იმპორტული აქციზური საქონელი;

ვ) იმპორტული აქციზური საქონელი, რომელიც გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებს სტიქიური უბედურების, ავარიების, კატასტროფების ლიკვიდაციისათვის;

ზ) იმპორტული აქციზური საქონელი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანილია ჰუმანიტარული დახმარებისა და საქველმოქმედო მიზნებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით განსაზღვრული წესით.

**მუხლი 6. გადასახადის განაკვეთები**

პირველ მუხლში აღნიშნულ საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებულ საქონელზე აქციზების განაკვეთები დაწესებულია პროცენტობით საქონლის ღირებულებასთან დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის გარეშე გასაცემი ფასებისადმი, ხოლო იმპორტულ საქონელზე — საბაჟო ღირებულებისადმი.

**მუხლი 7. აქციზების გამოანგარიშებისა და გადახდის წესი**

1. აქციზების თანხა განისაზღვრება:

ა) გადამხდელების მიერ დამოუკიდებლად რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და დადგენილი განაკვეთების მიხედვით;

ბ) იმპორტული საქონლის საბაჟო ღირებულების და დადგენილი განაკვეთების მიხედვით.

2. რეალიზაციის თარიღად ითვლება აქციზური საქონლის გადატვირთვა, გადაცემა ან იმ მყიდველებისათვის ადგილზე ჩაბარება, რომლებზეც გაფორმებულია ქონების გასხვისების დამადასტურებელი დოკუმენტები.

3. იმპორტული აქციზური საქონლის გადასახადს იხდიან სხვა საბაჟო გადასახდელების გადახდასთან ერთად, საქონლის მფლობელი (განმკარგულებელი) ან მისი დავალებით სხვა ორგანიზაცია (დეკლარანტი).

გადასახადის გადახდის საფუძველია სატვირთო საბაჟო დეკლარაცია. გადასახადს ახდევინებენ საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ორგანოები.

4. აქციზური საქონლის უცხოური ვალუტით რეალიზაციისას აქციზის გადახდა ხდება უცხოური ვალუტით ან ეროვნული ვალუტით ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული შესაბამისი კურსით.

5. საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ და სარეალიზაციოდ გააქვთ საკვები ნედლეულისგან დამზადებული ეთილის სპირტი, ღვინო-არყის ნაწარმი, აქციზებს ბიუჯეტში იხდიან ყოველდღიურად, რეალიზაციის მესამე დღეს. ყველა დანარჩენ გადამხდელებს აქციზები ბიუჯეტში შეაქვთ ყოველ დეკადაში შემდეგ ვადებში:

ყოველი თვის 13 რიცხვში — პირველი დეკადისათვის;

ყოველი თვის 23 რიცხვში — მეორე დეკადისათვის;

ყოველი მომდევნო თვის 3 რიცხვში — საანგარიშო თვის დანარჩენი დღეებისათვის.

6. აქციზების გადამხდელები საგადასახადო ორგანოებს თავისი ადგილმდებარეობის მიხედვით წარუდგენენ აქციზების თანხების გაანგარიშებებს ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

7. აქციზები ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში მისი იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით გადაირიცხება ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

**მუხლი 8. გამოანგარიშების სისწორისათვის გადამხდელთა პასუხისმგებლობა და მისი კონტროლი**

1. პასუხისმგებლობა აქციზების გამოანგარიშების სისწორისათვის, ბიუჯეტში დროულად ჩარიცხვის და საგადასახადო ორგანოებში გაანგარიშების დადგენილ ვადებში წარდგენისათვის ეკისრებათ გადამხდელებსა და მათ თანამდებობის პირებს საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა აქციზების ამოღება შედის საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ორგანოების კომპეტენციაში — საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ გადამხდელთა მიერ აქციზების თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფის და მისი გამოყენებისადმი კონტროლისათვის „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" და „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 9. დასკვნითი დებულება**

ამ კანონით გათვალისწინებული აქციზების განაკვეთების ოდენობის, აგრეთვე საგადასახადო შეღავათების შეცვლა შეუძლია საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
**ედუარდ შევარდნაძე.**
საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

---

### აქციზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონის დანართი.

### აქციზების განაკვეთები ცალკეულ საქონელზე

| საქონლის დასახელება | საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებულ საქონელზე აქციზების განაკვეთები პროცენტებში ღირებულებასთან დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის გარეშე გასაცემი ფასებით | იმპორტულ საქონელზე აქციზების განაკვეთები პროცენტებში საბაჟო ღირებულებასთან. |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 1. საკვები ნედლეულისგან დამზადებული ეთილის სპირტი (იმ სპირტის გარდა), რომელიც გაიცემა ლიქიორ-არყის ნაწარმისა და ღვინის პროდუქციის გამოსაშვებად | 90 | 90 |
| 2. არაყი, ლიქიორ-არყის ნაწარმი | 60 | 60 |
| 3. შამპანური, კონიაკი, შამპანურისა და კონიაკის მასალები* | 75 | 75 |
| 4. ყურძნის ღვინოები და ღვინომასალები, შემაგრებული ღვინოები და შემაგრებული ღვინომასალები* | 56 | 56 |
| 5. ლუდი | 10 | 30 |
| 6. ჩაი* | 30 | 30 |
| 7. შოკოლადი | 40 | 40 |
| 8. თართისა და ორაგულის ხიზილალის, ძვირფასი სახეობის თევზებისა და ზღვის პროდუქტების მზა დელიკატესური პროდუქცია | 40 | 40 |
| 9. თამბაქოს ნაწარმი | 40 | 40 |
| 10. საღეჭი რეზინა | 10 | 20 |
| 11. ძვირფასი ლითონებისაგან და მელქიორისაგან დამზადებული საიუველირო ნაწარმი | 20 | 20 |
| 12. ფაიფურის ნაწარმი | 30 | 30 |
| 13. ბროლის ნაწარმი | 40 | 40 |
| 14. მანქანური ქსოვის ხალიჩა და ხალიჩის ნაწარმი | 40 | 40 |
| 15. ნატურალური ტყავის ტანსაცმელი | 35 | 25 |
| 16. მსუბუქი ავტომობილები | — | 10 |
| 17. მსუბუქი ავტომობილების საბურავები | 5 | 5 |
| 18. ბეწვეულის ნაწარმი | 25 | 25 |
| 19. საავტომობილო ბენზინი | 10 | 10 |

* საქართველოს რესპუბლიკაში განლაგებული ყველა საწარმოს მიერ გამომუშავებული ღვინომასალების, კონიაკის მასალების და დაფასოებული ჩაის რეალიზაცია იბეგრება აქციზით.

აქციზით დაბეგრილი ნედლეულისაგან დამზადებული პროდუქცია (შამპანური, კონიაკი, ჩაი, ყურძენი და შემაგრებული ღვინოები) აქციზით არ იბეგრება.

---

## სიტყვა უსაქმოდ მკვდარია

# როგორ დავძლიოთ კრიზისი?

## აგროსამრეწველო კომპლექსის საქმიანობა, პრობლემები და პერსპექტივა

**ოდითგანვე** ასე იყო: ყოველი წლის მიწურულს ადამიანი მუდამ კრიტიკული თვალით გადახედავს ხოლმე განვლილ გზას. გააანალიზებს წარმატებებსა თუ ჩავარდნებს და გაიაზრებს ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც უკეთესი მერმისის გარანტად ესახება. შარშანდელი წელი უმძიმესი იყო საქართველოსთვის. სამამულო და შემდეგ სამოქალაქო ომით გამოწვეული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური კრიზისი, უმძიმესი კრიმინოგენური სიტუაცია, არსებული ეკონომიკური კავშირების მოშლა, ჰიპერინფლაცია, პროდუქციის წარმოების მინიმუმამდე შემცირება, ენერგიაშემცველების მწვავე დეფიციტი, სატრანსპორტო კომუნიკაციების ხანგრძლივი და ქრონიკული დამბლა, დისციპლინის მოშლა, ყველგან და ყველაფერში პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვა, განუკითხაობა და სხვა, — აი, იმ პრობლემების არასრული ნუსხა, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა და ხალხი ლამის სრულ კატასტროფამდე მიიყვანა.

შევეცდები მოკლედ გავაანალიზო საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სისტემაში არსებული კრიზისული მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები და გამოვთქვა მოსაზრებანი, რომელთა განხორციელება, ჩემი ღრმა რწმენით, ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფს დარგის კრიზისიდან გამოყვანას. რა თქმა უნდა, ამ სტატიაში შეგნებულად ავარიდებ თავს იმ მცირეოდენ წარმატებებს, რომლებიც, ყველაფრის მიუხედავად, შარშან მაინც გვქონდა.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობას საქართველოს რესპუბლიკის მრავალდარგოვან სახალხო მეურნეობაში გადამწყვეტი ხვედრითი წილი უკავია. საკმარისია ითქვას, რომ მისი პროდუქციის საშუალო წლიური ოდენობა შარშან მოქმედ ფასებში რესპუბლიკის მთლიან მოცულობაში 45 პროცენტი იყო.

უკვე რეალობად ქცეულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ აღნიშნული დარგი უპრეცედენტო თვისებრივი გარდაქმნის აუცილებლობის წინაშე დააყენა. უაზრობაა იმის მტკიცება, თითქოს საქართველოს არ ჰქონდეს დამოუკიდებელი ეკონომიკური არსებობის შესაძლებლობა. ჯერ ერთი, ეკონომიკური სუვერენიტეტი სრულიადაც არ გულისხმობს იზოლაციასა და ქვეყნის მხოლოდ საკუთარი რესურსებით დაკმაყოფილების აუცილებლობას; მეორეც: მსოფლიოში სადღეისოდ 90-მდე სახელმწიფოა, რომლებსაც საქართველოზე ნაკლები ფართობი და გაცილებით უარესი ბუნებრივი რესურსები, მაგრამ ამასთანავე უფრო განვითარებული სახალხო მეურნეობა და მოსახლეობის ცხოვრების ბევრად მაღალი დონეც აქვთ. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ სიძნელეებს, რომლებიც აუცილებლად წარმოიქმნება დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე.

უპირველესად გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობა 70-წლიანი საბჭოური პერიოდის განმავლობაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა არა საკუთარი, არამედ საერთოსაკავშირო ინტერესების შესატყვისად, აღნიშნულის შედეგად შეიქმნა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ისეთი სტრუქტურა, რომლის შედეგად საქართველოში პრიორიტეტულად განვითარდა ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ვაზის, ხილის თუ სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოება და სამრეწველო გადამუშავება. და ეს მაშინ, როდესაც ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძესა და რძის პროდუქტებზე, მცენარეულ ზეთსა და სხვა სანოვაგეზე მოსახლეობის მოთხოვნილება ძირითადად რესპუბლიკის გარედან შემოტანილი რესურსებით კმაყოფილდებოდა. ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება შემდეგი მონაცემების მოყვანა: საბჭოურ პერიოდში რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა საქართველოში წარმოებული ჩაის 10, ციტრუსების 25, მეღვინეობის დარგის პროდუქციის 20 პროცენტი, დანარჩენი კი რესპუბლიკის გარეთ მიდიოდა. ამავე დროს შემოგვქონდა ჩვენთვის საჭირო მარცვლეულის 98, შაქრის 95, რძის 70, ხორცის 50, მცენარეული ზეთის 90 პროცენტი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შარშანდელი წელი უმძიმესი იყო აგროსამრეწველო წარმოების ისტორიაში. წინასწარი მონაცემებით შემცირდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ვერ შესრულდა ვერც ერთი სახეობის პროდუქციის წარმოების პროგნოზი, ჩაიშალა გადამუშავებისა და მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი. მინიმალური წვლილიც ვერ შევიტანეთ სურსათის სახელმწიფო რესურსების ფორმირებაში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით აღურიცხავი დარჩა კერძო სექტორში წარმოებული პროდუქცია, რომელსაც პრივატიზაციის შედეგად გადაეცა დიდი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომლებიც ადრე, კოლექტიურ მეურნეობებს ეკავათ.

მოვიყვან მთავარი დარგების დამახასიათებელ ზოგიერთ მაჩვენებელს.

პროგნოზით გათვალისწინებული იყო 300 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება. ფაქტობრივად მოიკრიფა 132 ათასი ტონა, რაც დავალების მხოლოდ 44 პროცენტია. სამეგრელოს რეგიონში პროგნოზი შესრულდა მხოლოდ 30, ხოლო აფხაზეთში — 13 პროცენტით. მდგომარეობა იმითაც დამძიმდა, რომ ბოლო პერიოდში მომრავლდა ჩაის გადამამუშავებელი კერძო საწარმოები, ეგრეთ წოდებული საოჯახო საამქროები, რითაც დიდი რაოდენობით ნედლეული იფანტება და რომლის დასარეგულირებლად დღემდე არ არსებობს არავითარი ნორმატიული აქტი.

გარდა იმისა, რომ ასეთ საწარმოებში უხეშად ირღვევა ტექნოლოგიური პარამეტრები და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, მზა პროდუქციის რეალიზაცია ყოველგვარი აღრიცხვისა და ანგარიშგების გარეშე, სახელმწიფო ინტერესების სრული იგნორირებით წარმოებს.

მძიმე მდგომარეობაა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების საქმეშიც — ნოემბრის მეორე ნახევარში მოსულმა თოვლმა და ნაადრევმა ყინვებმა დიდად დაგვაზარალა.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ წლეულს 4-5 ათას ტონაზე მეტი ხილი ვერ დამზადდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ გორის რაიონში, სადაც საშუალოდ 100 ათასი ტონა ხილი მზადდებოდა, დღეის მდგომარეობით სახელმწიფო სექტორში შესყიდულია მხოლოდ 600 ტონამდე, ხოლო კასპისა და ხაშურის რაიონებში ხილი საერთოდ არ დამზადებულა.

არც მევენახეობაშია უკეთესი მდგომარეობა. სულ დამზადებულია 72,6 ათასი ტონა ყურძენი, რაც პროგნოზით გათვალისწინებული 365 ათასი ტონის მხოლოდ 20 პროცენტია. ვენახებითა და მეღვინეობით განთქმულ კახეთის ზონაში დამზადდა მხოლოდ 64 ათასი ტონა, ხოლო დასავლეთ საქართველოში — 6 ათასი ტონა ყურძენი.

მართალია აქ უნდა აღინიშნოს სეტყვის მიერ რამდენჯერმე მოყენებული მნიშვნელოვანი ზარალი, მაგრამ შემთხვევა მაინც პრაქტიკულად უპრეცედენტოა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე.

ყველა კატეგორიის მეურნეობაში დამზადებულია 380 ათასი ტონა მარცვლეული, რაც პროგნოზით გათვალისწინებულის 57 პროცენტია. დამზადებული მარცვლეულის საერთო რაოდენობაში თავთავიანების წილი 45 პროცენტია.

საზოგადოებრივ სექტორში დამზადებული და რეალიზებულია 25,7 ათასი ტონა ბოსტნეული (პროგნოზის 12 პროცენტი), სადრეო კარტოფილი — 3 ათასი (10 პროცენტი), ხოლო საგვიანო 17 ათასი ტონა (20 პროცენტი). მეტად მძიმე მდგომარეობაა შექმნილი მეცხოველეობაშიც, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ სექტორში.

ფაქტობრივად განადგურებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული ყველა სახის პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. პირველი დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოებრივ მეურნეობებში წარმოება იყო: 14,3 ათასი ტონა ხორცი და 38,9 ათასი ტონა რძე, ფურის საშუალო წლიურმა წველადობამ 555 კილოგრამი შეადგინა.

მეცხოველეობის დარგის ესოდენ მძიმე დაქვეითების პირობებში დამაიმედებელი ტენდენციები დაისახა „ფრინველმრეწველ" სისტემაში, რომელმაც ასევე დიდი ზარალი განიცადა, მაგრამ დარგის გამოცოცხლება უკვე შესამჩნევია.

დღეისათვის სამრეწველო მეფრინველეობის სისტემაში 2,2 მილიონი ფრთა ფრინველია, რაც დაახლოებით 350 ათასით აღემატება წლის დასაწყისისთვის არსებულ რაოდენობას.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენამ მინიმუმამდე შეამცირა სამრეწველო პროდუქციის წარმოება, სადაც ასევე ვერ სრულდება პროგნოზები.

უნდა დამზადებულიყო 300 მილიონი პირობითი ქილა ხილბოსტნეულის კონსერვი, ფაქტობრივად კი დამზადებულია 29,3 მილიონი ქილა, რაც შარშანდელი შესაბამისი პერიოდის 46,7 პროცენტია. 20 მილიონი პირობითი ქილის ნაცვლად გამოშვებულია 2 მილიონი პირობითი ქილა საბავშვო კონსერვები.

გამოშვებულია 3,25 მილიარდი ცალი პაპიროსი და სიგარეტი, რაც წლიური დავალების 46,4 პროცენტს შეადგენს.

ჩამორჩა ერთ დროს სახელგანთქმული მინერალური წყლების წარმოებაც: 11 თვეში ჩამოისხა 26,7 მილიონი ბოთლი, რაც პროგნოზით გათვალისწინებულის 27 პროცენტია.

წლიური პროგნოზის შესრულებას სანახევროდაც ვერ გაართვეს თავი ღვინის, არყის, შამპანურის ბოთლის, მინის ქილის დამამზადებელმა და ზოგმა სხვა სამრეწველო საწარმოებმა.

ვერ მოხერხდა სამრეწველო პროდუქციის მიწოდების სამთავრობათაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაც. და მაინც, ალბათ, სასურველი იქნება ხალხმა იცოდეს, რომ სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებებით გადაიტვირთა შემდეგი ღირებულების საქონელი (ფასები წარმოდგენილია თურქმენეთთან სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით კლირინგული ვაჭრობით გათვალისწინებული ღირებულებებით): თურქმენეთში — 35,8 მილიონი დოლარისა, ყაზახეთში — 24,4, აზერბაიჯანში — 0,6, უკრაინაში — 1,6, ყირგიზეთში — 0,5, სომხეთში — 0,3 მილიონი დოლარისა, რის სანაცვლოდაც ვიღებდით ბუნებრივ აირს, ხორბალს და სხვა სასურსათო პროდუქციას.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლები თავისთავად მეტყველებს აგროსამრეწველო კომპლექსში შექმნილ უმძიმეს ვითარებაზე და კომენტარებიც ზედმეტი იქნება. უფრო მიზანშეწონილია ავხსნათ ესოდენ ღრმა კრიზისული მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები და საჯაროდ ვილაპარაკოთ მათი დაძლევის ღონისძიებებზე, რომლებმაც სამინისტროსეული ხედვით უნდა უზრუნველყონ ჯერ კრიზისის შემდგომი გაღრმავების დამუხრუჭება, ხოლო შემდეგ — სტაბილიზაცია და დარგის აღმავლობა.

მკითხველი, ალბათ, დამეთანხმება, რომ ნაჩქარევი პრივატიზაციის შედეგად საკუთრების ფორმის შეცვლის პროცესმა გაუსწრო შესაბამისი ტიპის მეწარმის ჩამოყალიბებას.

სადღეისოდ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, როგორც მეწარმეებმა, დაკარგეს თავიანთი ორგანიზაციული და სამეურნეო-ეკონომიკური სახე, ახალი ტიპის მეურნეობა კი ჯერჯერობით არ ჩამოყალიბებულა.

სამწუხაროდ, თავისუფალი მეწარმეობა და დემოკრატია სოფლად აღიქვეს ისე, როგორც ყველაფრის უფლება, რამაც ნიადაგი მოუმზადა საზოგადოებრივი ქონების მასობრივ დატაცებას. განიავდა სატრანსპორტო საშუალებების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, მოწყობილობისა და დანადგარების, პირუტყვის, ფულადი სახსრების, წარმოებული პროდუქციისა და სხვა საშუალებების უდიდესი ნაწილი. ცნობილია ისიც, რომ ქონების დატაცებასა და განიავებას ბევრგან თვით კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები თავკაცობენ, რომლებიც დღისით-მზისით, ადგილობრივი ხელისუფლების თვალწინ და ხშირად მათივე მხარდაჭერით მოქმედებენ. შეიქმნა სიტუაცია, როცა სოფლად აღარ გვყავს ორგანიზებული მეწარმე, აღარ გვაქვს ორგანიზებული წარმოება.

ჯერჯერობით სასურველი შედეგი ვერ გამოიღო მიწების პრივატიზაციამაც, რომელსაც ასევე არ აკლია ძალადობა, თვითნებობა და მოქმედი კანონმდებლობის უგულებელყოფა. კიდევ უფრო სავალალო ის არის, რომ პრივატიზებულ მიწებს არა თუ ეფექტიანად იყენებენ, არამედ ხშირად მოცდენილიც არის, ან რაც უფრო გულდასაწყვეტი და ჩვენთვის მიუღებელია, წარმოებს მრავალწლიანი ნარგავების (ვაზი, ხეხილი) ამოძირკვა. მიწების პრივატიზაციის გაჭიანურება, მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირება და ქიშპობა გამოიწვია იმან, რომ ამ საქმეს თავიდანვე ჩამოაცილეს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის მთელი სისტემა, მათ შორის ადგილობრივი ორგანოები და მეურნეობათა ხელმძღვანელები. ხშირად სწორედ ამის შედეგია მრავალწლიანი მცენარეების დიდი პლანტაციების დაქუცმაცება და, როგორც წესი, მოსავლის საგრძნობი შემცირება.

სოფლის მეურნეობის რეფორმირება თანაბრად გულისხმობს მიწების პრივატიზაციას, მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის დანერგვას, თავისუფალ მეწარმეთა ჩამოყალიბებას და მათთან საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ურთიერთობის დამკვიდრებას.

ჩვენი აზრით, რეფორმები კომპლექსურად უნდა მიმდინარეობდეს. სწორედ ცალმხრივობით აიხსნება ის ფაქტი, რომ საკარმიდამო სექტორს გადაეცა დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომლებიც პრივატიზაციას არ ექვემდებარებოდნენ. და რამდენად საწყენია, რომ ეს დიდი შეცდომა ამ ცოტა ხნის წინათ ხელახლა დააკანონა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, რომელმაც უგულებელყო სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა როლი ამ საქმეში. დარგის ხანგრძლივი პარალიზება ასევე მნიშვნელოვნად განაპირობა საომარმა მდგომარეობამ და უმძიმესმა კრიმინოგენურმა სიტუაციამ. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ აგროსამრეწველო კომპლექსში მოხდა თავდასხმის 3 ათასზე მეტი შემთხვევა, რასაც ათობით მილიარდი კუპონის ზარალი მოჰყვა. რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს კი დრო არ ჰყოფნით სოფლის გასაჭირის შესამსუბუქებლად. დამნაშავეთა სამყარომ იგრძნო გლეხის დაუცველად მიტოვება და მას ხელაღებით ძარცვავენ მინდორში, სახლში, გზასა თუ ბაზარში. იგივე პროცესები მეტად უარყოფითად მოქმედებს საზღვარგარეთის ფირმებთან და ინვესტორებთან ურთიერთობის დამყარებაზე. უცხოელი ბიზნესმენები საქართველოთი აშკარად არიან დაინტერესებული, მაგრამ ისინი მოსალოდნელი რისკის გამო თავს იკავებენ ურთიერთობის დამყარებისგან.

დიდ ზარალს გვაყენებს ისიც, რომ ჯერჯერობით ვერც მართვის, და ვერც წარმოების რგოლებში ვერ დავეუფლეთ ახალ პირობებში საქმიანობის სტილსა და მეთოდებს. ადგილებზე თავისუფალ მეწარმეობას აღიქვამენ ისე, თითქოს არავის წინაშე არაფერზე ვალდებული არ ხარ და ვერავინ პასუხისმგებლობას ვერ დაგაკისრებს. სცოდავენ მეწარმენი, სცოდავენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, სცოდავს ჩვენი სამინისტროც და კიდევ სხვებიც, რომლებიც ძველებური დიქტატით ცდილობენ დარგის გაძღოლას. დღემდე შექმნილი არ არის სოფლის მეწარმეებთან სახელმწიფო ურთიერთობის მექანიზმები, მათ შორის საგადასახადო და საფინანსო-საკრედიტო მომსახურების სისტემები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის თავისუფალი ბაზარი, დარგის განვითარებისადმი პროტექციონისტული მიდგომა და სხვა, რომელიც ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარებით მოსახლეობის დაინტერესებას.

დარგს გამოუსწორებელი ზარალი მიაყენა ტრადიციული კავშირებისა და სტრუქტურების მოშლამ, რის შედეგადაც სოფლის მეურნეობა დარჩა ისეთი აუცილებელი საშუალებების გარეშე, როგორიცაა შხამქიმიკატები, ვეტერინარული პრეპარატები, მინერალური სასუქები, საწვავი, საცხები, ტექნიკა, დამხმარე მასალები და სხვა, ურომლისოდაც შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

ხალხმა ისიც უნდა იცოდეს, რომ სოფლის მეურნეობამ შარშან მიიღო 1990 წელს გამოყოფილის მხოლოდ 3,9 პროცენტი საავტომობილო ბენზინი, 16,8 პროცენტი დიზელის სათბობი, ტრაქტორების — 0,3 პროცენტი. რაც შეეხება მსუბუქ და სატვირთო ავტომობილებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს, შხამქიმიკატებსა და ვეტერინარულ პრეპარატებს, ისინი სამი წელიწადია რესპუბლიკაში არ შემოსულა.

აგროსამრეწველო კომპლექსის და უწინარესად, მისი მთავარი დარგის — სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანა იმ მიზეზების აღმოფხვრით უნდა დავიწყოთ, რომლებმაც იგი გამოიწვია. პირველ რიგში და რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა შევქმნათ რეფორმების სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და მივცეთ მას მწყობრი და მიზანმიმართული ხასიათი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ საქმეში არსებობს იმდენი თავისებურება, რამდენიც სოფელი, საწარმო თუ შრომითი კოლექტივია. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი უნდა გადაწყდეს კანონმდებლობის ჩარჩოებში, მაგრამ კონკრეტული პირობების და სპეციფიკის გათვალისწინებით.

მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს სოფლის მეურნეობას თანამიმდევრული და გააზრებული ევოლუციური და არა რევოლუციური რეფორმები სჭირდება. მათი განხორციელება მოითხოვს რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხარდაჭერას, სამართალდამცავი, საფინანსო, საბანკო და სხვა ორგანოების თანადგომას, მდგომარეობის სტაბილიზაციას და დარგის აღმავლობის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

რაც შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობის ხვალინდელ დღეს, რომელიც ჩვენ უნდა შევქმნათ, პირადად მე იგი შემდეგნაირად მესახება.

სოფლად ფართო განვითარებას მიიღებს საბაზრო ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი მეწარმეობის ფორმები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, საკარმიდამო და გლეხური მეურნეობები, სახელმწიფო მეურნეობები, სააქციო საზოგადოებები, ფირმები, საწარმოო კომბინატები, ასოციაციები და სხვა სახის სამეურნეო ფორმირებები.

საბჭოური კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისგან განსხვავებით, სადაც ყველაფერი ყველასი იყო, კონკრეტულად კი არავისი არაფერი, ახალი ტიპის მეწარმენი გადაცემული მიწის, წარმოებული პროდუქციის და მთელი თავისი ქონების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი იქნებიან და საკუთარი სურვილის მიხედვით გადაწყვეტენ მეურნეობის გაძღოლისა და პროდუქციის გასაღების საკითხებს;

ფართოდ განვითარდება მეწარმეებსა და მომხმარებლებს, მეწარმეებსა და მომსახურე ორგანიზაციებს შორის უშუალო ჰორიზონტალური კავშირები გარედან ჩარევისა და კარნახის გარეშე;

გარდამავალ პერიოდში დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საკონტრაქტო სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომლითაც უნდა დარეგულირდეს პროდუქციის და მომსახურების რაციონალური გაცვლა ცალკეულ რეგიონებსა და რესპუბლიკას შორის.

საქართველოს ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანი დარჩება. საბაზრო ურთიერთობა საწარმოო დარგებს განალაგებს თითოეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან მაქსიმალური უკუგების მიღების გათვალისწინებით.

დარგის მართვის ტრადიციული ფორმები შეიცვლება სამეურნეო-ეკონომიკური პარტნიორობით, რომელიც მთლიანად გამორიცხავს მეწარმეთა შიგა სამეურნეო საქმეებში ჩარევას და იძულებას.

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებთან სახელმწიფო ურთიერთობა განხორციელდება საგადასახადო სისტემის საფუძველზე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დამოუკიდებელ და თავისუფალ მეწარმეთა ჩამოყალიბებას.

დაბოლოს, დასკვნის სახით მინდა აღვნიშნოთ შემდეგი:

შარშან ვერ მოხერხდა კრიზისული მდგომარეობის შერბილება და იმ მიჯნებზე გასვლა, რომლებსაც ითვალისწინებს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 მარტის დადგენილება „1993-95 წლებში საქართველოს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოსვლის შესახებ". ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ ვერ შევძელით კრიზისის გამომწვევი მიზეზების არა თუ აღმოფხვრა, არამედ შეჩერებაც კი.

და მაინც, ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ 1994 წელი უნდა იყოს გარდატეხის წელი, როცა თავისუფალი ვარდნა დამთავრებულია და აუცილებლად ფართო აღმშენებლობითი მოძრაობა უნდა დაიწყოს. ეჭვგარეშეა, რომ უკანასკნელმა წელიწადმა ბევრი რამ დაანახა არა მარტო რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, არამედ თვითონ ხალხს და შესაბამისი დასკვნებიც გამოტანილია.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს, მას კარგად აქვს გაცნობიერებული ამ პროცესში თავისი ადგილი, როლი და პასუხისმგებლობა და ძალ-ღონეს არ დაიშურებს არსებული კრიზისული მდგომარეობიდან დარგის გამოყვანისათვის.

**გიორგი კვესიტაძე,**
**საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი, აკადემიკოსი.**

ფიქრთ გასართველად

# ალადინის ლამპა თუ დიოგენის ფარანი?

## ძაღლის წელიწადის ჩანაწერები

**ილია ჭავჭავაძე** თავის კლასიკურ შედევრში — „მგზავრის წერილებში" ლელთ ღუნიას ერთგან ასე ალაპარაკებს: „აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ — პირად და გულად ჭუღურ არნ".

„ჭუღურ", „ჭოღორ" — ძაღლია ქართველურ, კერძოდ, ზანურ მეტყველებაში. გარდა ამისა, ამ სიტყვებში „სიკვდილიც" ისმის და „ტუტუმობაც". საშინელი სიტყვაა (თუმცა ამ სიტყვას სხვა ახსნაც მოეძებნება).

რატომ არის ასე გაბრაზებული ლელთ ღუნია? მოვუსმინოთ მას.

„აწინა ერობა დაიშალის, მეძავობაი ჩამოვარდნის, ზარბოზანგარი გვერივნის, ერთ-სულობაი დავარდნის, მტრობა-მძაობაი გაშმორდნის. აწინა ქვრივობაი ვინ განიკითხოს, ატირდომოლ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ წამოაყენის?. ერი დავარდნილ, დაცახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთაწყობაი... წარწყმდა, მოისრნა ქვეყანაი".

დღევანდელ საქართველოზე წერს ის დალოცვილი დიდი ილია. მარტო ერთი სიტყვა „დაბალება" აკლია ილიას ლექსიკონს და მის მიერ დახატულ სურათს. ილიას „კაკო ყაჩაღისთანა" კაცი სანატრელი გახდა ამ ყაჩაღებით, ქურდბაცაცებითა და არაკაცებით სავსე საქართველოში.

სულის შემძვრელია ილიას ეს ფრაზა: „აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ — პირად და გულად ჭუღურ არნ".

ისტორია მეორდება, მაგრამ ამჯერად არა როგორც ფარსი, არამედ როგორც ტრაგედია, რომლის მსგავსი არცერთი ეპოქის ევრიპიდეს და შექსპირს არ დასიზმრებია.

* * *

**ახალ** წელიწადს ადამიანი უპატესად რომანტიკულ ბურუსში გახვეული, მაგრამ არანაკლებ ეუფლება მას ფილოსოფიური განწყობაც.

მახსენდება: ფილოსოფიაში არსებობს ტერმინი „კინიკი", („ცინიკი"). ეს ტერმინი, მოგეხსენებათ, მოდის ძველბერძნული და ლათინური, ელინისტური ფილოსოფიიდან და უკავშირდება ცნებას „ძაღლური", „ძაღლური ფილოსოფია". საოცარია, არა?! ფილოსოფოსები იშვიათია ადამიანთა შორის, პლატონები, არისტოტელეები, კანტები და ჰაიდეგერები ათას წელიწადში ერთხელ ძლივს იბადებიან, ეს ძველი რომაელი კინიკოსები, ცინიკოსები კი „ძაღლურ ფილოსოფიაზეც" არ თაკილობენ საუბარს, ქმნიან „ძაღლურ ფილოსოფიურ მოძღვრებას", რომელიც ბევრ „ადამიანურ ფილოსოფიას" სჯობს, თუნდაც იმიტომ, რომ ისიც ადამიანურია და ადამიანებისთვის არის შექმნილი.

როდის ვისაუბროთ ამ „ძაღლურ ფილოსოფიაზე" თუ არა „ძაღლის წელიწადს?!" ამიტომ ორიოდე გადაკრულ სიტყვას მოგახსენებთ ამ ძაღლის წელიწადს, ძაღლური ცხოვრების ძაღლურ ფილოსოფიაზე.

ასტროლოგებიც კი ამბობენ: „ზოდიაქოს ძაღლი" ფილოსოფოსი და მორალისტიაო.

* * *

**ერთხელ** ათენში მოგზაურობის დროს ის ადგილი მაჩვენეს, სადაც ოდესღაც კინოსარგი იყო.

ძველი ათენის შემოგარენში, ჰერაკლეს ტაძართან არსებობდა გიმნაზია „კინოსარგი", სადაც, რა თქმა უნდა, კინოს არ აჩვენებდნენ, მაგრამ ისეთ ფილოსოფიურ ლექციებს კითხულობდნენ, თანამედროვე კინოს სჯობდა. „კინოსარგი" თარგმანში „ფხიზელ ძაღლს", სხვა ვერსიით კი „თეთრ ძაღლს" ნიშნავს. ასე განმიმარტეს ჰომეროსისა და სოკრატეს ძველბერძნულის ათენელმა სპეციალისტებმა.

სწორედ ამ გიმნაზიაში იშვა კინიზმის, ანუ ცინიზმის ფილოსოფია, „ძაღლური ფილოსოფია". ამ ტერმინს თავისი საიდუმლო აქვს.

„ძაღლებს", „ქოფაკებს" ეძახდნენ ძველ ათენში კინოსარგის გიმნაზიის „არასრულფასოვანი" მოქალაქეებისაგან შედგენილ კონტინგენტს. კინოსარგელმა მოაზროვნეებმა „ძაღლური ფილოსოფიით" უპასუხეს „ჭეშმარიტ ელინთა" ამ სოციალურ ზიზღს. ასე შეიქმნა ცინიზმის ფილოსოფია. ის შექმნეს ძირითადად იმ ბერძნებმა, რომლებიც ან დედით, ან მამით ბერძნები არ იყვნენ, მაგრამ დედ-მამით ბერძნებს ნიჭით ალემატებოდნენ.

* * *

**ყოველგვარი** შედარება მოიკოჭლებსო, ამბობს ერთი გერმანული სენტენცია, ჩემი შედარება, შეიძლება, ორივე ფეხით კოჭლობს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: „ძაღლური ფილოსოფია" — კინიზმი (ცინიზმი) გარკვეულ ლოგიკურ მიმართებაშია ჩვენს დროსთანაც, ჩვენს „ძაღლის წელიწადთან", უფრო ძაღლური, ცინიკური დრო ძნელი წარმოსადგენია.

ფილოსოფოსი დიოგენი, რომელიც დღისით ანთებული ფარნით ხელში დაეძებდა ადამიანს, კინიკოსთა დასიდანაა.

სწორედ დღესაა დიოგენიც და მისი ფარანიც საჭირო, რადგანაც ადამიანურ ღირებულებათა სოციალური დეგრადაციაა და კრიზისი დგას.

ამ ფილოსოფიური და ენერგეტიკული კრიზისის ჟამს არც დიოგენი ჩანს სადმე და არც მისი ფარანი. უფრო მეტიც, მისი ფარანი ჩამქრალია. არ ვიცი, ფილოსოფიური აზრი ჩაქრა, არ ვიცი ენერგეტიკული კრიზისის გამო დაიშრიტა ფარანი.

ის ადამიანიც არსად ჩანს, დიოგენი რომ დაეძებდა. ეს არც არის გასაკვირველი, — ძაღლის წელიწადში გადავდივართ. ადამიანებს დღეს ჰგონიათ, რომ დიოგენის ფარანზე უფრო ალადინის ჯადოსნური ლამპა სჭირდებათ, მაგრამ ცდებიან...

* * *

**მახსენდება,** გადმოცემის თანახმად, ფილოსოფოს დიოგენის მამა ყალბი ფულის მომჭრელი იყო.

სად, რომელ დროში მოჭრილა იმდენი ყალბი ფული, რამდენიც ჩვენს დროში?!

ყალბი ფულის მოჭრისათვის ფილოსოფოს დიოგენის მამა სინოპში ციხეში ჩასვეს.

ჩვენს დროში ყალბი ფულის მოჭრისათვის ბევრ ქვეყანაში დამნაშავეებს ხშირად პარლამენტში ირჩევენ ან მინისტრის პორტფელს აძლევენ. უპორტფელო მინისტრის თანამდებობას ყალბი ფულის მომჭრელები არც კადრულობენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რა აზრი აქვს ყალბი ფულის მოჭრას, როცა დღეს ნაღდი ფულიც ყალბია, გაუფასურებულია, საშინელი დაავადება — ჰიპერინფლაცია სჭირს.

უნებლიეთ მახსენდება ანდრე ჟიდის რომანი „ყალბი ფულის მომჭრელები"...

დღეს ფულის გაყალბებაზე უფრო საშიშია სიტყვის გაყალბება.

ყალბი ფულისა და ყალბი სიტყვის ეპოქაში ვცხოვრობთ.

* * *

**ფილოსოფოს** დიოგენს, გადმოცემის თანახმად, კასრში ეძინა. დღეს მოსახლეობის ნახევარს კასრიც არა აქვს, რომ დიოგენივით გაათენოს ღამე. ეს კატასტროფაა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, ბევრი მილიონერის მიერ დოლარებისგან შეკერილ საბანქვეშ, ფულით გატენილ ქვეშაგებზე უაზროდ გათენებულ ღამეს, დიოგენის მიერ კასრში გათენებული ფილოსოფიური ღამე სჯობს.

ამ ახალ წელს სავსებით ლოგიკურად ჰქვია ძაღლის წელიწადი.

ეტყობა აღმოსავლურ ზოდიაქოში, აღმოსავლურ ასტროლოგიაში არც იმდენი სისულელეა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

„ძაღლური ფილოსოფია" ადამიანებმა შექმნეს გაცხოველების გზაზე დამდგარ არსებათა ისევ გაადამიანების მიზნით.

* * *

**კინიკოსი** (ცინიკოსი) ფილოსოფოსი დიოგენი რაღაცით ნიცშესაც მაგონებს.

გადმოცემის თანახმად დიოგენს თითქოს დელფოსის სამისნოში, აპოლონის ტაძარში უწინასწარმეტყველეს: ფასეულობათა გადაფასება მოგიწევსო.

მისანი ქალის ეს ორაზროვანი წინასწარმეტყველება კინიკოსმა დიოგენმა ისე გაიგო, რომ მას უნდა გადაეფასებინა ისეთი ღირებულებები, როგორიცაა: წესი, ჩვეულება, ტრადიციები, სამართალი და ა. შ., რადგანაც სიტყვა, რომელიც დელფოსის სამისნოში მოისმინა, მრავალშინაარსიანი, „სემანტიკურად პოლივალენტური" იყო.

ფასეულობათა ისეთი გადაფასება, რაც „თანამედროვე ცრუდიოგენებმა" და „ცრუნიცშეებმა" მოინდომეს, ისტორიას არ ახსოვს. თან ყველაზე „უვიცი ცრუდიოგენი" „ყველა დროის პლატონის" ნიღაბს ატარებს. ამ მანიაკების მსხვერპლია მთელი მოსახლეობა. აი, ეს არის დასანანი.

დავარქვათ ყველა საგანს და მოვლენას თავისი სახელი და სინამდვილეს სასიკეთოდ შევცვლით ან მთლად ახალ სინამდვილეს შევქმნით.

**სინამდვილეს არ ვემდური —**
**არ ყოფილა თითქმის.**
**არყოფილზე საყვედური,**
**ახა, როგორ ითქმის?! —**

ამბობდა დიდი გალაკტიონი.

უფრო დიდი საყვედური სინამდვილის მიმართ არც ქართულ პოეზიაში და არც მსოფლიო პოეზიაში არასოდეს არ თქმულა.

* * *

**დიოგენი** ბერძენი ფილოსოფოსია, მაგრამ, ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ ის ისტორიულ ლაზიკაში, სინოპშია დაბადებული. თან მამით ბერძენია, დედით — აბორიგენი. (ვინ იცის, იქნებ ლაზიც და, მაშასადამე, ქართველი)...

დღეს იმდენი ცინიზმია ქართველში, არ გამიკვირდება კინიკოს-ცინიკოსი დიოგენის დედა ქართველი აღმოჩნდეს! თუმცა თრაკიაც ცდილობს თავის შვილად გაასაღოს დიოგენი.

ასეა თუ ისე, წარსულის ერთ-ერთი ულამაზესი ფილოსოფიის შემქმნელი ლაზურ მიწაზეა დაბადებული, მაგრამ რატომღაც ეს აქამდე ვერ გავაცნობიერეთ.

* * *

**ცინიზმის** ფილოსოფია მოითხოვდა გარკვეული ასკეტური ნორმების დაცვას. კინიკოსი უნდა ყოფილიყო უსახლკარო, ფეხშიშველი, ტანსაცმელშემოხეული, ნახევრად მშიერ-მწყურვალი, სწორედ ისეთი, როგორც თანამედროვე საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი. ცინიკოსებს ეზიზღებოდათ სიმდიდრე და ფუფუნება. ცინიზმი იყო პროტესტი. ამიტომ ცხოვრობდა კასრში დიოგენი.

ძველი ბერძენი ცინიკოსები თვითონ იყვნენ ასეთ დღეში. ასეთი იყო მათი ცხოვრების წესი და სტილი.

თანამედროვე ცინიკოსები კი პირიქით, თვითონ კარგად, მდიდრულად ცხოვრობენ, სამაგიეროდ სხვები ჰყავთ მშიერ-მწყურვალი, ფეხშიშველი, ტანშიშველი და უსახლკარო.

ასე დიამეტრულად შეიცვალა „ძაღლური ფილოსოფია" საუკუნეების მანძილზე...

* * *

**ძველ** ცინიკოსებს ხელში არგანი ეჭირათ, ზურგზე „ნაცარქექიას გუდა" ეკიდათ, შიშველ ტანზე „ფილოსოფოსის ლაბადა" ჰქონდათ მოსხმული.

თანამედროვე ცინიკოსებს ფილოსოფიური ლაბადის ნაცვლად ფარაჯა აცვიათ და არგანის მაგიერ ავტომატი უჭირავთ ხელში.

თანამედროვე ცინიკოსებს ძველ ცინიკოსებზე გრძელი წვერები აქვთ, მაგრამ ჭკუა აქვთ მათზე მოკლე.

ძველ ცინიკოსებს თმები ჰქონდათ დაუვარცხნელი, თანამედროვე ცინიკოსებს კი — აზრები აქვთ დაუვარცხნელი, ან საერთოდ არა აქვთ აზრები.

ძველი ცინიკოსების დუმილი უფრო მეტყველებდა, ვიდრე თანამედროვე ცინიკოსთა ლაპარაკი.

თანამედროვე ცინიკოსებმა იქნებ ძაღლის წელიწადს მაინც იცხოვრონ ძველი ცინიკოსების კოდექსით?!

* * *

**ძველი** ცინიკოსები ამბობდნენ: სიღარიბე კი არა, სიმდიდრეაო სირცხვილი, რადგანაც მდიდარი ან ქურდია ან ყაჩაღიო.

თანამედროვე ცინიკოსებს მიაჩნიათ, რომ, პირიქით, სიღარიბეა სირცხვილი, ხოლო სიმდიდრე, ქურდობა და ყაჩაღობა დიდი სახელია. ასე ხდება ფასეულობათა „კინიკურ-ცინიკურ-„ნიცშეანური" გადაფასება.

— არც მდიდარ სახელმწიფოში, არც მდიდარ ოჯახში მორალი და პატიოსნება არ არსებობს, — ამტკიცებდნენ ძველი ცინიკოსები.

მე ბევრ თანამედროვე მდიდარ სახელმწიფოშიც ვყოფილვარ და მდიდარ ოჯახებშიც. იქ ძაღლი ბევრი მინახავს, „ძაღლური ფილოსოფია" — არსად. ასეთ სახელმწიფოებსა და ოჯახებში ძაღლები კი არა, ხშირად ადამიანებიც უფილოსოფიოდ და უსინდისოდ ცხოვრობენ. ისინი 2.000 წლით ჩამორჩებიან ძველ ცინიკოსებს...

რადგანაც სხვა არაფერი შეუძლიათ, გადაამუშავებენ № რაოდენობის საჭმელს და „ბედნიერნი" წავლენ საიქიოში ისე, რომ ვერც გაიგებენ რისთვის მოვიდნენ ამქვეყნად.

* * *

**კინიკოსობა** პატიოსან ლატაკთა ფილოსოფია იყო, თუმცა ფილოსოფიის სილატაკეც უცხო არ იყო მათთვის.

ნივთიერ სიმდიდრეს და ფილოსოფიურ სილატაკეს, ნივთიერი სილატაკე და ფილოსოფიური სიმდიდრე სჯობს, მაგრამ ვის ესმის ეს?!

* * *

— **ჭკვიან** კაცს ვერ იტანენ ბრიყვები, — ამბობდნენ ძველი ცინიკოსები.

ახალი ცინიკოსები ვერც ჭკვიანს იტანენ და ვერც ბრიყვს, მხოლოდ საკუთარი თავი და სიბრიყვე უყვართ.

* * *

**ბავარიაში,** მიუნხენში არის თომას მანის ხეივანი, რომელიც ამქვეყნიურ „ძაღლების სამოთხეს" წარმოადგენს.

ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში, მე მინახავს ძაღლთა კაფეები, საპარიკმახეროები, მაღაზიები, ძაღლთა მოდების ატელიები...

„ძაღლური ცხოვრება" მიუნხენსა და ნიუ-იორკში, ჰოლივუდში, ევროპის ბევრ ქვეყანაში „ადამიანთა ცხოვრებას" [illegible] მხოლოდ ძაღლის წელიწადს. [illegible] არ უფიქრდება იმას, თუ რა არის ამის მიზეზი?! რატომ ერგება ძაღლს ის, რაც ადამიანს აკლია.

ნუთუ გონივრულია ასეთი საზოგადოება?!..

რა სახელები არ ჰქვიათ ძაღლებს: „ბონაპარტე", „ჰეგელი", „ჩაპლინი", „კლეოპატრა", „მერილინ მონრო", „კინგი", „ცეზარი". ერთ ძაღლს ძაღლთა მეფე „ლავ-ლავ II" ერქვა თომას მანის ხეივანში.

კარგია როცა ძაღლები გაადამიანებას აპირებენ, როცა ადამიანთა სახელებს ირქმევენ და „ადამიანურ" ცხოვრებას ეწევიან. ცუდია, როცა ადამიანები ეწევიან ძაღლურ ცხოვრებას.

რას იტყოდა ნეტა თომას მანი თომას მანის ხეივანში რომ გაევლო?!

მახსოვს ერთმა რუსმა პოეტმა მითხრა:

— ჩვენს დროში გენიოსები „ზიმებით" დადიან, ტალანტები — „ვოლგებით", ნიჭიერები — „მოსკვიჩებით", მე კი ფეხით — როგორც ლევ ტოლსტოი.

თომას მანის ხეივანში ძაღლები დაბრძანდებიან „მერსედეს-ბენცით", „ფორდით", „კრაისლერით", „მაზდათი", „ფოლკსვაგენით" და სხვა ლიმუზინებით. იმათ იმ რუსი პოეტის ლექსი არ წაუკითხავთ.

* * *

**ბერძენი** მწყემსები ცხვრის ჩლიქებს უფრთხილდებოდნენ და ტყავით უხვევდნენ ფეხებს.

დიოგენმა, როცა მეგარელ მწყემსთა „ტყავის ფეხსაცმლიანი ცხვრები" ნახა და მათივე ფეხშიშველი ბავშვები, წამოიძახა:

— სჯობს მეგარელის ცხვარი იყო, ვიდრე შვილიო.

იგივე აზრები მოგდის კაცს, როცა თომას მანის ხეივანში ხედავ „არისტოკრატულად ჩაცმულ ძაღლებს":

— სჯობს თომას მანის ხეივანში ძაღლი იყო, ვიდრე ბროდვეიზე უმუშევარი და სვანეთში — ლტოლვილი.

**ლადო ალფენიძე,**
**მწერალი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

---

XXI საუკუნის კარიბჭესთან:

# უნდა შევინარჩუნოთ პოტენციალი

## სამეცნიერო-ტექნოლოგიური და საინოვაციო პოლიტიკის პრობლემები საქართველოში

**საინოვაციო პოლიტიკის სწორად განსაზღვრა ერთნაირად აუცილებელია როგორც განვითარებადი ქვეყნებისათვის, ისე მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთათვის, უდავოდ აქტუალურია იგი საქართველოსთვისაც.**

ამ პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება კი რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის საქმეა. ამგვარი სამთავრობო ორგანო არსებობს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მიუხედავად იმისა ხდება სამეცნიერო სამუშაოთა დაფინანსება ძირითადად მხოლოდ სახელმწიფო სახსრებით, როგორც ეს დღემდეა შემორჩენილი საქართველოში და ე. წ. ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც, თუ იქ, სადაც არასამთავრობო სახსრები აღწევენ ან აჭარბებენ კიდეც მეცნიერებაზე ჯამური დანახარჯების ნახევარს, როგორც, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში და სხვა. თუმცა, ბუნებრივია, აღნიშნული სამთავრობო ორგანოს სტატუსი, ფუნქციები და სხვა მახასიათებლები ფართო დიაპაზონში იცვლება და განსაზღვრულია კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით.

ჩვენი კომიტეტის მუშაობა ოთხი ძირითადი მიმართულებით წარიმართება: ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებისათვის ხელის შეწყობა; ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო პროგრამების დამუშავება; პროფესიული უმაღლესი განათლების ორგანიზაცია; მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია.

საქართველოს დღევანდელი ვითარება განაპირობებს ამ პრობლემათა სპეციფიკურობას.

მაგალითად, როდესაც საუბარია პირველ პუნქტზე — მეცნიერების განვითარებაზე უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეს და ახლო მომავალშიც საქართველოს არ ექნება საშუალება შეასრულოს მრავალდარგობრივი კვლევითი სამუშაოები მეცნიერების ყველა დარგში და დაასაქმოს ის მაღალკვალიფიციური მეცნიერნი, რომლებიც ადრე მუშაობდნენ რესპუბლიკის თუ საკავშირო სამეცნიერო დაწესებულებებში. ამიტომ, თუ დღეს სტიქიურად მიმდინარე დეპრესიას ჯერ კიდევ არ მივუყვანივართ შეუქცევად შედეგებამდე, ვიდრე ჩვენი საზოგადოება დაკარგავს ხანგრძლივი დროის მანძილზე გაჭირვებით ნაზარდი და ნაშენები სამეცნიერო კადრებისა და ბაზის საუკეთესო ნაწილს, საჭიროა მოხდეს ფუნდამენტური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა, მოკლე და გრძელვადიანი პროგრამების დამუშავება-რეალიზაცია; სამეცნიერო კადრების აღრიცხვა, ატესტაცია, სახელმწიფო და ადგილობრივი (საუწყებო) საპენსიო კანონების სასწრაფოდ დამუშავება-შემოღება, მუშაობის და დასვენების პირობების სრულყოფა, გამოთავისუფლებული კადრების პროფესიული გადამზადება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ა. შ.; უნდა შემუშავდეს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსების პროგრამული, სახელმწიფო და არასახელმწიფო (საბიუჯეტო, არასაბიუჯეტო, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფონდების მოზიდვით) ფორმები.

ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების ზემოჩამოთვლილი პრობლემების კოორდინაციას საქართველოში ტრადიციულად მეცნიერებათა აკადემია ეწეოდა და მომავალშიც ერის კულტურის განმსაზღვრელი ეს დარგი ძირითადად მეცნიერებათა აკადემიამ უნდა წარმართოს საქართველოს წამყვან სასწავლო და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად.

ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და მისი განხორციელებისათვის საჭირო სახელმწიფო პროგრამების დამუშავებისა და რეალიზაციის კოორდინაცია წარმოადგენს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს სფეროს რესპუბლიკის ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებთან, პრაქტიკულად ყველა დარგის წამყვან სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოსთან ერთად, პრობლემებისადმი სწორედ სისტემური მიდგომის და მართვის მიზნობრივ-პროგრამული მეთოდების გამოყენება უნდა წარმოადგენდეს კომიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების მუშაობის დამახასიათებელ ნიშანს ფუნდამენტური გამოკვლევების, ინოვაციური, სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრამების დამუშავების, იმ სახელმწიფო დაკვეთების შესრულებისას, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობასა და უშიშროებას, ჯანმრთელობის დაცვას და სოციალურ უზრუნველყოფას, განათლების, კულტურის, მრეწველობის, ტრანსპორტის, აგროსამრეწველო კომპლექსის... ერთი სიტყვით, მთელი ეროვნული ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას.

სადღეისოდ უკვე გამოიკვეთა 12 სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრობლემა, რომლებიც უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო დონეზე პროგრამული წესით უნდა გადაწყდეს. ეს პრობლემები მათი საორიენტაციო ღირებულებითა და შესაძლო ეფექტის მოკლე დახასიათებით შეტანილია საქართველოს მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების ინდიკატიური გეგმის პროექტებში, მაგრამ იმისათვის, რომ ამ პრობლემებმა მიიღოს სახელმწიფო პროგრამის სტატუსი, სათანადო ფინანსირება და დაიწყოს მათი რეალიზაცია, საჭიროა, მათ გაიარონ საქართველოს მთავრობის 1993 წლის 30 მარტის № 264 დადგენილებით დამტკიცებული რთული და ხანგრძლივი პროცედურა, რომელმაც ფაქტობრივად ახლა უნდა დაიწყოს მოქმედება და რომლის გამოყენებისას ალბათ მრავალ მოსალოდნელ თუ მოულოდნელ სირთულეს გადავეყრებით. მაგრამ ამ სირთულეებმა ხელი არ უნდა შეუშალოს პერსპექტიული პროგრამების რეალიზაციას, პარალელურად უნდა დაიხვეწოს ზემოხსენებული დადგენილებით დამტკიცებული წესი (ამის საჭიროებას ახლავე ამჩნევენ ჩვენთან ერთად საფინანსო და ეკონომიკის დარგების მუშაკები).

ბუნებრივია, სახელმწიფო პროგრამების შესრულებისათვის საჭიროა წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის ჩატარება, საექსპერტო გადაწყვეტილების მიღება. მისი რეალიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური უზრუნველყოფა მოითხოვს სოლიდურ ფინანსურ დანახარჯებს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში. ამიტომ მათი მომზადება, როგორც ეს ხსენებულ დადგენილებაშია მითითებული, უნდა დამთავრდეს ბიუჯეტის შედგენამდე ორი თვით ადრე.

რაც შეეხება შედარებით მცირე მოცულობის სამუშაოებს, რომელთაც არ ექნება სახელმწიფო პროგრამის სტატუსი, მათი წლის განმავლობაში საკონტრაქტო წესით დაფინანსებისათვის კომიტეტს უნდა გააჩნდეს განსაზღვრული რეზერვი, დასაწყისში იგი უნდა შეადგენდეს მთელი საბიუჯეტო დაფინანსების თუნდაც 15-20 პროცენტს, ეს თანხები გამოყენებული იქნებოდა სპეციალური საექსპერტო საბჭოების გადაწყვეტილების საფუძველზე კონკრეტული სამუშაოების შემსრულებელი თემატიკური ჯგუფების დასაფინანსებლად, მიუხედავად იმისა, თუ სად მუშაობენ ამ ჯგუფის წევრები — საბიუჯეტო თუ არასაბიუჯეტო ორგანიზაციებში.

ამ სახის სამუშაოების შესასრულებლად საბიუჯეტო დაფინანსებასთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე არასაბიუჯეტო ფონდი, რომლის შესაქმნელად საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს სპეციალური დადგენილება მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების 1,5 პროცენტით გაზრდის შესახებ. აქედან მიღებული თანხის ძირითადი ნაწილი უნდა დარჩენილიყო უწყებაში და მოხმარებოდა საკუთრივ დარგის შემდგომ ტექნოლოგიურ განვითარებას, ხოლო ძალზე მცირე ნაწილის კომიტეტის განკარგულებაში გადმორიცხვაც კი, საგრძნობ დახმარებას გაგვიწევდა დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრობლემების დაფინანსებისას. სამწუხაროდ, ეს დადგენილება არ სრულდება. მართალია, ჩვენზე უკეთესი მდგომარეობაა რუსეთში (რომლის მრეწველობა გაიღებს მისი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსებისათვის 5 პროცენტს), მაგრამ საერთაშორისო ექსპერტებს ეს მოცულობაც არაეფექტურად და არასაკმარისად მიაჩნიათ.

არ სრულდება საქართველოს მთავრობის მიერ ორი წლის წინ მიღებული დადგენილება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტთან საინოვაციო ფონდის ჩამოყალიბებისათვის საჭირო სახელმწიფო და არასახელმწიფო შენატანების შესახებ.

ყოველივე ამის გამო საქართველოს რესპუბლიკაში დღემდე მოქმედი დაფინანსების სისტემა შეიძლება მოკლედ დახასიათდეს, როგორც „ბაზურბიუჯეტური", რომელსაც არ ძალუძს შექმნას რამდენადმე მნიშვნელოვანი პირობები წლის განმავლობაში წარმოშობილი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრობლემების საკონტრაქტო წესით ოპერატიული გადაჭრისათვის და რომლის სასწრაფოდ შეცვლა პროგრამულ-მიზნობრივ, საკონკურსო-კონტრაქტულ პრინციპებზე დამყარებული დაფინანსების სისტემით სრულიად აუცილებელია, ამასთან, ისევე, როგორც ნებისმიერი განვითარებული ეკონომიკის ქვეყანაში, ჩვენშიც საჭიროა, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის მოზიდული სახელმწიფო და არასახელმწიფო ფინანსური საშუალებები ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ნაწილდებოდეს როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სექტორებში მოხვედრილ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებზე, ბიუროებზე, ფირმებზე თუ კერძო პირებზე.

ფინანსირების პროგრამულ-მიზნობრივი სისტემის ფართოდ გაშლა თავის მხრივ მოითხოვს თვით კომიტეტისა და სამეცნიერო ორგანიზაციების მნიშვნელოვან სტრუქტურულ-ფუნქციურ ცვლილებებს, ფართო სამეცნიერო-საინჟინრო საზოგადოების მოზიდვის შედეგად შექმნილი საექსპერტო საბჭოების ინტენსიურ მუშაობას როგორც პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის, საკონკურსო სამუშაოების ჩატარებისა და პერსპექტიული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსებისას, ასევე (რაც მთავარია!) დამთავრებული სამუშაოებისა თუ მათი ეტაპების შესრულების ხარისხის მკაცრი, ობიექტური განხილვისას, მისი შედეგების ფართო პოპულარიზაციას საზოგადოებაში როგორც მიღებულ სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის რეალიზაციის, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი ჯგუფისა თუ ორგანიზაციის ღვაწლისა და პოტენციალის სწორად შეფასებისა და რეკლამის მიზნით, ყოველივე ამის შესრულება უნდა ევალებოდეს კონკრეტული პროგრამის კოორდინატორს, რომელსაც ექნება თანამედროვე მსოფლიო დონის კვალიფიკაცია. როგორც წესი, ის უნდა მიჰყავდეს დარგის მთავარ სპეციალისტს, ეს თანამდებობა უნდა იყოს უმაღლესი პრესტიჟისა და სათანადო ანაზღაურების.

საქართველოში მრავალი წლის მანძილზე მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის ეგიდით იქმნებოდა და მოქმედებს ხელმძღვანელი ორგანოების ინფორმაციული მომსახურებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და გავრცელების რესპუბლიკური სისტემა, რომელიც აერთიანებს სპეციალიზებულ ინსტიტუტებს, ბიბლიოთეკებს, სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებს, ამ სისტემის წყალობით მოსახლეობის ფართო ფენებისა და სპეციალისტებისათვის ხელმისაწვდომი იყო როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ასევე მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში გამოსული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ სპეციალური ხასიათის პრაქტიკულად ყველა გამოცემა. ამისათვის ყოველწლიურად გამოიყოფოდა სათანადო სახსრები (მათ შორის, სავალუტოც), რაც ფონდების მეტნაკლებად შევსებისა და გარკვეული ინფორმაციული პოლიტიკის გატარების საშუალებას ქმნიდა, ასე მაგალითად, 1991 წელს საქართველოს გ. მიქელაძის სახელობის რესპუბლიკურ ტექნიკურ ბიბლიოთეკაში 770, ხოლო „ტექინფორმში" — 1054 სხვადასხვა დასახელების ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და უცხოეთის ქვეყნების პერიოდული გამოცემა შემოდიოდა, 1993 წელს ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 182 და 360-მდე დაეცა.

ეკონომიკური დეპრესიისა და მრავალ სხვა ხელშემშლელ მოვლენათა ზეგავლენით მკვეთრად გაუარესდა ჟურნალ-გაზეთებითა და ინფორმაციის სხვა მასობრივი საშუალებების მოპოვება.

განსაკუთრებით საგანგაშო სიტუაცია შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის საინფორმაციო მასალების მოპოვების საქმეში, მრავალი ინსტიტუტი და უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც წლების განმავლობაში ქმნიდნენ სპეციალურ საინფორმაციო ფონდებს (მათ შორის უცხოური, სავალუტო გამოცემების ბაზაზე) და ჩართული იყვნენ დარგობრივი ინფორმაციის გაცვლის ერთიან სისტემაში, ბოლო წლებში პრაქტიკულად მოსწყდნენ აქტუალური მონაცემების მოპოვების სტაბილურ წყაროებს, რაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აყენებს მრავალ სამეცნიერო კოლექტივს.

საქმე ის არის, რომ 1994 წლიდან რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების გამოცემებზე ხელმოწერა ხორციელდება მხოლოდ რუსულ მანეთებზე, ხოლო სხვა დანარჩენი ქვეყნების გამოცემების გამოსაწერად საჭიროა სავალუტო სახსრები.

ამრიგად იქმნება საშიშროება იმისა, რომ რესპუბლიკის წამყვანი სამეცნიერო ცენტრები და სპეციალისტები 1994 წელს დარჩებიან სპეციალური გამოცემების გარეშე, რაც მომავალში მძიმე შედეგებით გვემუქრება, ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა აგრეთვე ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა ამგვარ ღონისძიებებში.

სატრანსპორტო და სამივლინებო ხარჯების მკვეთრად გაზრდის გამო ჩვენი მეცნიერები პრაქტიკულად აღარ მონაწილეობენ სხვა რესპუბლიკებში გამართულ ღონისძიებებშიც, დაირღვა წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ნაყოფიერი კონტაქტები რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების სამეცნიერო ცენტრებთან, სპეციალური ინფორმაციის დეფიციტის ნაწილობრივ შევსება ჯერჯერობით ხერხდება ელექტრონული ფოსტისა და სატელეკომუნიკაციო კავშირების მეშვეობით, მაგრამ ამ მიმართულებასაც სერიოზული შეკვეცა ემუქრება კავშირგაბმულობის არხების ექსპლუატაციის ტარიფების მნიშვნელოვანი ზრდის გამო.

ადრე არსებული თემატიკის დამუშავების დაფინანსების მეტი ნაწილის შეწყვეტამ გამოიწვია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კატასტროფული შემცირება და, როგორც შედეგი, მომუშავეთა მნიშვნელოვანი ნაწილის დათხოვნა. ამასთან ერთად ხდება სამეცნიერო ორგანიზაციების ძირითადი ფონდების არადანიშნულებით გამოყენება (იჯარით გაცემა, მოწყობილობების გაყიდვა და სხვა), მთელი რიგი სამეცნიერო ორგანიზაციებისა ნომინალურად განაგრძობს არსებობას და პრაქტიკულად დაშლის პროცესში იმყოფება, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური პოტენციალი, მათი საცდელ-ექსპერიმენტული ბაზა გარკვეული ხელშეწყობის პირობებში შეიძლება გამოყენებულ იქნას თავდაცვისუნარიანობის პრობლემათა გადასაჭრელად თუ სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოებისათვის, რომლის დეფიციტი დღითიდღე იზრდება.

რესპუბლიკაში არსებობს ძლიერი სამეცნიერო-ტექნოლოგიური დაწესებულებები მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთა ბირთვის გადარჩენა დღევანდელ კრიზისულ სიტუაციაში აუცილებელია, ასეთი პოტენციალის დაკარგვა ძალიან ძვირად დაუჯდება საზოგადოებასა და სახელმწიფოს მომავალში ეკონომიკის პერსპექტიული აღმავლობის პირობებში.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტმა მოამზადა „მეცნიერულ კვლევათა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ" კანონის პროექტი, რომელიც, სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, ითვალისწინებს ყოველივე ზემოაღნიშნულის აღიარებასა და განხორციელებას, ამჟამად კანონის პროექტი განხილვისა და დაზუსტების პროცესშია რესპუბლიკის პარლამენტში.

**ლევან ჟაფარიძე,**
**საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარე.**

---

# სარედაქციო ფოსტიდან

## ღია წერილი ფარულ ოპონენტებს

**ოთხ თვეზე მეტია** გრძელდება საპარლამენტო კურიოზი, კურიოზებს მიჩვეულ ჩვენს საზოგადოებას ამ ქვეყანაზე არაფერი უკვირს, მაგრამ მაინც ღირს მასზე ყურადღების შეჩერება. ისე წაგვლეკა პოლიტიკურმა კინკლაობამ, რომ ვიღაცის ჯიბრზე უბრალო ლოგიკას, ზნეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ანგარიშს არ ვუწევთ. სხვა ვერაფრით აგვიხსნია პარლამენტის მიერ ბ-ნ ვალერი ახათიანის უფლებამოსილების არცნობა. ქუთაისის საარჩევნო ოლქში, მას შემდეგ, რაც ქალაქის მერად დაინიშნა ბ-ნი თ. შაშიაშვილი, ხელახლა ჩატარდა არჩევნები. დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ვ. ახათიანმა. სხვა კანდიდატების მხარდამჭერმა პოლიტიკურმა ძალებმა მაშინვე გააჩაღეს კამპანია მის წინააღმდეგ და მოითხოვეს შედეგების გადასინჯვა. საკითხზე იმსჯელა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამაც, პარლამენტის სამანდატო კომისიამაც, ოლქის ორ უბანში, სადაც მიჩნეულ იქნა, რომ პროცედურა დაირღვა (არა ვ. ა. ახათიანის მიზეზით) ხელახლა ჩატარდა არჩევნები და კვლავ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ვ. ახათიანმა.

თითქოს ყველაფერი ნათელი იყო. სამჯერ გაიტანა პარლამენტის სხდომაზე საკითხი სამანდატო კომისიამ, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოგროვდა დადგენილების მისაღებად ხმების საკმარისი რაოდენობა (112). რას ნიშნავს ეს? იქნებ ეს მოასწავებს კანონის არასრულყოფილებას, რადგან თეორიულად ისიც კი არის შესაძლებელი, რომ პარლამენტმა არ დაადასტუროს გარდაცვალების გამო დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტა, ანუ კაცს სიკვდილის უფლებაც კი წაართვას? კენჭისყრა ფარულია და, ღმერთმა უწყის, ვინ ვისზეა გაბრაზებული და რა მოეპრიანება! გასაგებია, რომ პარლამენტმა შეიძლება უნდობლობა გამოუცხადოს სამანდატო კომისიას, მაგრამ თუ იგი ამას არ აკეთებს, მაშინ ვის რა უფლება აქვს, არ დაადასტუროს დეპუტატის უფლებამოსილება?

სამწუხაროდ, გარკვეული პოლიტიკური ძალები, რომელთაც თავიანთი კანდიდატურა ვერ გაიყვანეს, შურს იძიებენ! ამის შედეგად ილახება არა მარტო უკვე არჩეული დეპუტატის, არამედ ამომრჩევლის ინტერესები. ისეთ ქალაქს, როგორიც ქუთაისია (და ჩვენ ვიცით, რაც არის ქუთაისი საქართველოსთვის!) არ ჰყავს თავისი წარმომადგენელი პარლამენტში! და ეს ვისი მიზეზით ხდება? ეტყობა, იმათი მიზეზით, ვინც არც თბილისელია, არც ქუთაისელი, არც ქართველი, მხოლოდ და მხოლოდ რომელიღაც პარტიელია!

იქნებ ესეც არ არის გასაკვირი, როცა საერთაშორისო კონვენციასთან შეერთებას, რომელიც კულტურულ ფასეულობათა დაცვას ეხებოდა, ფარული კენჭისყრით ოთხი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა პარლამენტში! ვინ არის ეს ოთხი კაცი? და საერთოდ, ვინ არიან ის პარლამენტარები, რომლებიც გზას ულობავენ ჯანსაღ აზრს პარლამენტში?

უნდა დავიცვათ პარლამენტის ღირსება! განა არ დადგა დრო, ფარული კენჭისყრას ამოფარებულო ბატონებო, გავითვალისწინოთ არა პირადი, არამედ პარლამენტისა და ამომრჩევლის ინტერესები?

**რომან მიმინოშვილი,**
**ჯანსუღ ჩარკვიანი,**
**საქართველოს პარლამენტის სამანდატო, ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის წევრები**

## ვინ „შეკაზმავს" ველოსიპედს?

**1960 წელს** მამაჩემი ტურისტული საგზურით იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და რომ ჩამოვიდა, პირველ შთაბეჭდილებად ეს გვითხრა, მთელი გერმანია ველოსიპედებზე ზის, 10 წლის ბავშვი თუ 70 წლის კაცი თუ ქალიო.

მილიარდიანი ჩინეთის ქალაქების ქუჩები ზემოდან მდინარეს მოგაგონებს — ყველა ველოსიპედზეა ამხედრებული.

შესადარებლად: იმ პერიოდშიც კი, როდესაც ბენზინი 10 კაპიკი ღირდა, საქართველოში ორი რაიონი იყო, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ველოსიპედს იყენებდა — სამტრედია და აბაშა.

ჩვენნაირ მდგომარეობაში ჩავარდა სოციალისტური კუბა. როცა უბენზინობის გამო მთელი ქვეყანა პარალიზებული აღმოჩნდა. ქვეყანამ მონახა გამოსავალი: ჩინეთში შეიძინეს 1 მილიონი ველოსიპედი და კუბელები „რკინის რაშზე" ამხედრდნენ.

საქართველოში სამტრედიელებსა და აბაშელებს ამ მხრივ პრობლემები არ აქვთ (მათი პრობლემა, ალბათ, ველოსიპედების სათადარიგო ნაწილების შოვნაა).

საინტერესოა, ბოლოს და ბოლოს, რამდენ მანეთამდე (თუ კუპონამდე) უნდა მიაღწიოს ლიტრი ბენზინის ფასმა, რომ საქართველოს მცხოვრებთა დიდი ნაწილი ველოსიპედზე „ამხედრდეს"? საზღვარგარეთის ნორმალურ ქვეყნებში მთავრობას რაიმეს დანერგვა თუ სურს, რეკლამას ცნობილი პიროვნებები უკეთებენ. ეს პიროვნება შეიძლება იყოს პოლიტიკური მოღვაწე, ჩემპიონი სპორტში, კინო-ვარსკვლავი, ბიზნესმენი ან თვით სახელმწიფოს მეთაური. დავნერგოთ მათი ეს გამოცდილება.

რამდენადაც ვიცი, საქართველოში ველოსიპედებს მხოლოდ თბილისის საავიაციო ქარხანა უშვებს. ველოსიპედების წარმოების ათვისება თავისუფლად შეუძლიათ რუსთავისა და ქუთაისის საწარმოებს, თანაც სხვადასხვა სახისა და მოდიფიკაციისა. უნდა იქნას გამოშვებული როგორც ერთადგილიანი, ორ და სამადგილიანი, ასევე — ძრავიანი, რათა შეიძლოს 100 კილომდე ტვირთის გადატანა.

დრო აღარ ითმენს. შეიძლებოდა გაეფიქრა საქართველოს რამდენიმე ქალაქში თვეში ერთი დღე „ველოსიპედის დღედ" გამოეცხადებინა. ამ დღეს ქალაქის მერი, მთავარი ექიმი, პოლიციის უფროსი, ქარხნის დირექტორი, მოსამართლე თუ მშენებელი სამსახურში და სხვა საქმეზე ველოსიპედით ან ფეხით უნდა მიდიოდეს...

იქნება ეს მოძრაობა რუსთაველიდან დაიწყოს?

**მიხეილ მუმლაძე.**

## ასეთი დუმილი ხელს არ გვაძლევს

**გაზეთ** „თბილისის" ერთ-ერთ შარშანდელ ნომერში გამოქვეყნდა ჩემი სტატია — „გადასახადი არარსებული მომსახურებისათვის?" რომლის „მინაწერს" ხელს აწერდა ჩემივე მეზობელთა ერთი ჯგუფი. იგი, თავისი შინაარსით არავითარ საჩივარს არ წარმოადგენს. უბრალოდ, მე და ჩემს მეზობლებს (სტატიის გამოქვეყნების შემდეგ კი აღმოჩნდა —უნივერსიტეტის თანამშრომელთა უმრავლესობას, აგრეთვე გარეშე პირთაც), გვაინტერესებდა კოოპერატიული ბინის კვარტალურ გადასახადთა ტარიფის ზოგიერთ ნიუანსში გარკვევა, თანაც არა ინდივიდუალური წესით პასუხის გაცემის ნიადაგზე, არამედ იმავე გაზეთ „თბილისის" მეშვეობით, რადგანაც მიგვაჩნდა, რომ შევეხეთ საზოგადო სატკივარს.

ამაო აღმოჩნდა ჩვენი მოლოდინი: მეხუთე თვეა, რაც თბილისის მერიის სათანადო სამსახური დუმს. ნათქვამია, დუმილი თანხმობის ნიშანიაო, მაგრამ ასეთი დუმილი ხელს არ გვაძლევს.

პასუხის დაყოვნებამ ეჭვები აღმიძრა: თბილისის მერიის სათანადო სამსახური ან არ კითხულობს გაზეთ „თბილისს", „რაც, სამწუხაროდ, მხოლოდ კულტურულ-განმანათლებლურ ჩამორჩენად კი არ გაიაზრება მკითხველის ცნობიერებაში, არამედ, ამასთან ერთად და ამაზე უწინარეს, საკუთარ მოქალაქეთა სატკივრისადმი უსულგულო დამოკიდებულებად, დასაშვებია ისიც, რომ იგი, თუნდაც სპორადულად კითხულობს გაზეთ „თბილისს", მაგრამ აბუჩად იგდებს არა მხოლოდ მის ავტორებს, არამედ, გაზეთის რედაქციას, ანუ თავის თავსაც.

ასეთი ქმედება კი საძრახისია ნებისმიერი (მორალურ-ზნეობრივი, სოციალური...) განზომილებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა მაიძულა, წინამდებარე რეპლიკა გამომექვეყნებინა „საქართველოს რესპუბლიკაში" იმ იმედით, რომ მერიის სათანადო სამსახური ამ გაზეთს მაინც კითხულობს.

**ბეჟან კილანავა,**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტი.**

# სარედაქციო ფოსტიდან

## ინფორმაცია 93

### „იბერიის" ლენტიდან

**თბილისი.** საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრმა იგორ გიორგაძემ განაცხადა, რომ მიღწეულია შეთანხმება გამსახურდიას ოჯახის წევრებისა და ჩეჩნეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა გროზნოდან ჩამოსვლის შესახებ, რომლებსაც მიეცემათ შესაძლებლობა გამსახურდიას ნეშტის გროზნოში გადასვენებისა.

როგორც ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩ. იუსუფმა განაცხადა, ექსპრეზიდენტის ცხედარი, მისი ოჯახის წევრების თხოვნით, დაიკრძალება ჩეჩნეთში. მისივე სიტყვებით, შესაბამისი ნებართვა მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისგან.

**გორი.** გორის ფეიქართა კულტურის რესპუბლიკურ სასახლეში ასოციაცია კათარზისის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მედეა ალხაზიშვილის ინიციატივით მარტოხელა მოხუცებისათვის გაიხსნა სათნოების სახლი. მოხუცებს მორალურ მხარდაჭერასთან ერთად, გაუმასპინძლდებიან ცხელი სადილით. სათნოების სახლს მატერიალურად დაეხმარნენ კავკასიის ბანკის გორის ფილიალი, № 1 საკონსერვო ქარხანა, მაცივარკომბინატი, ბამბეულის საწარმოო გაერთიანება, კულტურის და ტექნიკის სახლი, გორის შემნახველი ბანკი და სხვა ორგანიზაციები.

**მარტვილი.** სატელეფონო საუბრისას მარტვილის გამგებელმა ლევან ჭკლაკავამ გვაცნობა, რომ ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდების გამო სირთულეებია შექმნილი მოსახლეობის პურით მომარაგების საქმეში. ამავე მიზეზით არ ხერხდება თურქმენეთში ჩაის ტრანსპორტირება. ოთხი დღეა ფოთიდან მარტვილში პურის ფქვილი არ შემოუტანიათ. კრიმინოგენური მდგომარეობა თანდათან სტაბილური ხდება. მძიმე დანაშაულის ფაქტები არ დაფიქსირებულა. მოძრაობს ტრანსპორტი.

## დააკავეს მსჯავრდებულები

**საქინფორმის** კორესპონდენტის ცნობით, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველოს გუგუთის დაწესებულება უა 128/62-ის სპეცკონტინგენტის 8 საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში 5 გრძივი მეტრი, 50 სანტიმეტრი დიამეტრის და 1,5 მეტრი სიმაღლის გვირაბის გათხრის პროცესში დააკავეს მსჯავრდებულები. ისინი გადაყვანილი არიან ქუთაისის 2 საგამოძიებო იზოლატორში.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

◎

## მატარებელს ხორბალი მოაქვს...

**ამ** ბოლო ხანს საქართველოში ხორბლისა და ფქვილის მარაგის ირგვლივ ისეთი ხშირი ლაპარაკის გამო როგორღაც უკანა პლანზე გადაიწია დანიშნულების ადგილამდე ამ პროდუქციის მიტანის პრობლემამ. არადა, მარცვლეულის ტრანსპორტირების საკითხი ახლა მეტად მწვავედ დგას, რადგან რკინიგზაზე ელექტროენერგიის მუდმივი გამორთვები ხშირად აძნელებენ ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების ჩამოტანას, იკარგება დღეები. არადა, უნდა ითქვას, რომ რკინიგზა ელექტროენერგიის პირველი კატეგორიის მომხმარებელია. ამიტომაც რესპუბლიკის სასურსათო კომისიის სხდომაზე, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის ავთანდილ მარგიანის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, საკმაო დრო დაეთმო ამ პრობლემის განხილვას, მისი გადაჭრის შესაძლებლობათა ძიებას.

კომისიამ გააანალიზა ჩაის, წვენების, ბუნებრივი გაზის სანაცვლოდ თურქმენეთში ფქვილის საქმის ვითარება, დასახა ამ სამუშაოთა დაჩქარების ღონისძიებანი. წინადადება გამოითქვა ასევე გამკაცრდეს კონტროლი დასათესად თესლის შემოტანაზე, ხიზანთა საცხოვრებლებისთვის რეგიონებში ფქვილის განაწილების საკითხებისადმი.

ხიდი

# დისერტანტია

# პირველი ქართველი ებრაელი ისრაელიდან

**ჩვენი** გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ქალბატონი ლილი მაგალი-მაღალაშვილი იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის დოქტორანტი, თელ-ავივის სპეციალური სასწავლებლის მასწავლებელი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ლექტორი.

ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა ლილი მაგალს საკანდიდატო ხარისხი. დისერტაციის დაცვის დროს სიტყვები წარმოთქვეს ცნობილმა ისტორიკოსებმა, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ნაშრომს. ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბარუხ ბირენბაუმმა, დადებითად შეაფასა საქართველოდან ასულ ქართველ ებრაელთა როლი ისრაელის ცხოვრებაში. მან ხაზგასმით აღნიშნა ქალბატონ ლილი მაგალის დამსახურება ორი ქვეყნის ხალხთა შემდგომი დაახლოების საქმეში.

ამ დღეებში სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ სხვა მეცნიერებთან ერთად მეცნიერებათა კანდიდატის ატესტატი გადასცა ლილი მაგალისაც.

• • •

დიდხანს ესიზმრებოდა უცნობი ისტორიული სამშობლო. ებრაულად საუბარი ოცნებად ექცა. და მანამდე ერთი სიტყვაც რომ არ იცოდა, ისრაელში ასვლიდან ორი წლის შემდეგ უკვე ებრაულს ასწავლიდა ხულონის ხალმანარანის სკოლაში. რამდენადაც გატაცებით დაეუფლა მშობლიურ ენას, იმდენად არ განელებია საქართველოს სიყვარული, ამიტომ გადაწყვიტა მისთვის ესოდენ შორეული და ახლობელი ქვეყნის შესახებ გამოფენა მოეწყო იმ სკოლაში, სადაც მუშაობდა. სწორედ ეს გამოფენა დაედო საფუძვლად ისრაელში ესოდენ გახმაურებულ „საქართველოს დღეებს", რომელიც ქალაქ აშდოდში ტარდებოდა.

— დიდ ტკივილს მაყენებდა ის ფაქტი, რომ დილით აშენებული ოდა სახლი საღამოს ისევ უნდა დაგვენგრია, ამბობს ქალბატონი ლილი. — ვოცნებობდი, რომ ექსპოზიცია მუდმივი თუ არა, ხანგრძლივი მაინც ყოფილიყო, რომ ფართო საზოგადოებას შესაძლებლობა მისცემოდა საქართველოს დიდ კულტურას გასცნობოდა. მუდმივი ექსპოზიციის ან მუზეუმის შექმნა დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ვცდილობდით რომელიმე მუზეუმი დაგვეინტერესებინა ქართველ ებრაელთა თემით. დოქტორ დავით შემშილაშვილის მცდელობით მსოფლიო მნიშვნელობის დიასპორის მუზეუმში მოეწყო გამოფენა „ოქროს საწმისის ქვეყანაში", რომელიც წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ასი ათასობით დამთვალიერებელი ჰყავდა. გამოფენაზე შევეცადეთ წარმოგვედგინა ის დიდი ტრადიციები, რაც საქართველოს ებრაელობამ შემოინახა და რაც შეითვისა. ჩემთან ერთად ამ გამოფენის თანაავტორი გახლდათ ქალბატონი რახელ არბელი.

„ოქროს საწმისის ქვეყანაში" — ამ სათაურითვე გამოიცა წიგნი, რომელიც საქართველოს ებრაელთა ისტორიაზე ასეთი აკადემიური გამოცემის პირველი მცდელობაა. წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული. იგი 1992 წელს ინგლისურად ითარგმნა, რითაც მსოფლიო ბაზარზე გასვლის საშუალება მიეცა.

—გამოფენისა და წიგნის ასე მაღალ დონეზე მომზადება გაგვიჭირდებოდა ბატონების აკადემიკოს ანდრია აფაქიძისა და პროფესორ ვალერი ასათიანის თანადგომის გარეშე. ექსპედიციებში ჩემი მუდმივი თანამგზავრი გახლდათ ქართული ენციკლოპედიის რედაქციის ფოტოგრაფი თამაზ ბარამიძე, რომლის მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებულმა ფოტოებმა დაამშვენა გამოფენა და წიგნი.

მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც თანადგომა აღმომიჩინა.

**ბელა დურგლიშვილი.**

**სურათზე:** ლილი მაგალი და ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში — ბარუხ ბირენბაუმი.

## დაისახა ვითარების გაუმჯობესების გზები

**თელავის** რაიონის სამედიცინო ქსელში არსებული ვითარების გაცნობასა და შესწავლას მიეძღვნა ჯანდაცვის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის, მისი პირველი მოადგილის ვლადიმერ გიორგაძისა და მშენებლობის დარგში მოადგილის გურამ გოგინაძის სტუმრობა. მათ თელავის ცენტრალური საავადმყოფოს დათვალიერების შემდეგ გამართულ შეხვედრაზე, რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ამ დარგში არსებული მძიმე პირობების გაუმჯობესების გზები დასახეს.

## ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

## პრესა დემოკრატიას უჭერს მხარს

**აქტიური** მხარდაჭერა სჭირდებათ დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და პროცესებს საქართველოში, რომლებიც ჩვენში თანდათან ვითარდება და სულ უფრო მტკიცედ იმკვიდრებს ადგილს.

ამაზე, როგორც ცნობილია, უკვე იზრუნეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში. შექმნილია შესაბამისი ორგანიზაციები.

დემოკრატიას სჭირდება დაცვა როგორც შინაგანი უთანხმოებისა, და, ბუნებრივია, ყოველგვარი შედეგებისგან, ისე გარე ხასიათის საშიშროებისგანაც. ამას გარკვეულწილად ხელი უნდა შეუწყონ და შეუწყობენ კიდეც ისინი, ვიზედაც დამოკიდებულია მსოფლიოში აქტუალური ინფორმაციის გავრცელება. ამიტომ, ჩემი აზრით, სავსებით უპრიანი და დროული იქნებოდა, თუ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნება ჟურნალისტთა სრულიად საქართველოს კომიტეტი „პრესა დემოკრატიის დასაცავად". დასახელება თავადაც მოწმობს მიზნებსა და ამოცანებს. და საჭირო არ არის, მათზე ახლა დაწვრილებით საუბარი. ჟურნალისტთა კონსოლიდაცია უაღრესად საჭიროა რესპუბლიკაში პოლიტიკური ერთიანობის მისაღწევად, დემოკრატიული საფუძვლების განსამტკიცებლად, როგორც ქვეყნის შიგნით, დესტრუქციული ძალების დასაპირისპირებლად, ისე იმ წრეების მხრივ მომდინარე გარე საშიშროების ინფორმაციული მოგერიებისთვის მზადყოფნის მიზნით, რომლებიც იმედს ამყარებენ დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის აშკარად მიუღებელ ზრახვებსა და იდეებზე.

**ნოდარ ბროლაძე.**

## საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრად

**ცნობილი** ქართველი მომღერალი, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მედეა ამირანაშვილი მიწვეულია რიმსკი-კორსაკოვის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრად. ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედების ეს პრესტიჟული დათვალიერება სტარტს აიღებს სანქტ-პეტერბურგში 15 იანვარს. კონკურსის გამარჯვებულები 25 იანვარს გამოვლინდებიან.

## კრიმინალური ქრონიკა

**ამ** დღეებში თელავის შინაგან საქმეთა პოლიციის რაიგანყოფილების შენობის წინ თავი მოიყარა სოფელ იყალთოს მცხოვრებთა 150-კაციანმა ჯგუფმა. მათი მოთხოვნა მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილის მათთვის გადაცემა იყო. დაზარალებულ მხარესა და სამართალდამცავ ორგანოს წარმომადგენელთა შორის გამართული მოლაპარაკების შედეგად, რომელსაც კახეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე მედეა მეზვრიშვილი, რაიონის გამგეობის თავმჯდომარე მერაბ ხიდეშელი და პარლამენტის წევრი სოსო მეგუთნიშვილი ესწრებოდნენ, მოქალაქეთა ჯგუფი დაიშალა.

## სტალინი ბრუნდება?

**მოსკოვის წითელი მოედნის რეკონსტრუქციამ გადაწყვიტა კიდეც აქ, ერთი შეხედვით, თითქოსდა სამარადისოდ დაკრძალულ ბელადთა ხვედრი: მათ, პროექტის მიხედვით, მოუწევთ ახალ ადგილებში „გადასახლება". ლენინს, სანქტ-პეტერბურგის მერიის განკარგულებით, გადაასვენებენ ამ ქალაქში. მარშალ როკოსოვსკის ხელახალი დაკრძალვა მოუწევს პოლონეთში...; ყოველივე ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ დედაქალაქის საზოგადოებრიობა წინ არ აღუდგება ამ ცვლილებებს. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ღიად არის დარჩენილი საკითხი იოსებ სტალინის ნეშტის გადმოსვენების შესახებ.**

იმაზე, თუ სად უნდა გადმოასვენონ იგი, მიმდინარეობდა სჯაბაასი თბილისში გამართული საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" სხდომაზე.

როგორც საზოგადოების თავმჯდომარემ გრიგოლ ონიანმა განაცხადა, მოსკოვის მერია პრინციპულად არ არის წინააღმდეგი, რომ სტალინის ნეშტი გადმოასვენონ საქართველოში, მის სამშობლოში. და საზოგადოება „სტალინი" თუ ასეთი რამ მოხდება, კისრულობს ყველა ორგანიზაციული და სხვა საკითხების გადაწყვეტას, საჭირო სახსრების გაღებასაც. წამოყენებული იყო მისი დაკრძალვის ადგილის სხვადასხვა ვარიანტები, მაგრამ გადაძლია აზრმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, სტალინის გორში დაბრუნების შესახებ, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა, სადაც აღმართულია მისი ძეგლი და არსებობს მუზეუმი.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ გადმოსვენების საკითხი არ არის ვიწროუწყებრივი, არ შედის ერთი საზოგადოების ფარგლებში, არამედ იგი ფართო ინტერესს იწვევს. საჭიროა რესპუბლიკის საზოგადოებრიობის, გორში, სხვა ადგილებში არსებული შესაბამისი ორგანიზაციების აზრის და, რაც ყველაზე მთავარია, იმის გათვალისწინება, რომ ყოველივე ეს უნდა გადაწყდეს ოფიციალურად.

სხდომაზე შეიქმნა საზოგადოების სამხედრო-ისტორიული სექცია, რომელშიც შევიდნენ როგორც ძველი, საშუალო, ისე ახალგაზრდა თაობის თვალსაჩინო გენერლები, საქართველოს საზოგადოების წარმომადგენლები. შეიქმნა აგრეთვე კომისია, რომელიც უშუალოდ მუშაობს სტალინის ნეშტის გადმოსვენების საკითხებზე.

**საზოგადოება „სტალინის" საბანკო ანგარიში: 100700884, სააქციო კომერციული ბანკი „კრწანისი", მფო 520721.**

საქინფორმი.

## ამინდი

## იანვრის მზიანი დღეები

**უპირატესად** კარგი, მზიანი ამინდი იქნებათ საქართველოს მცხოვრებლებს დამდგარ კვირაში რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ამტკიცებენ სინოპტიკოსები. ასეთია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამინდის მომავალი პირობების მთლიანი პროგნოზი.

— კოლხეთის დაბლობზე და შავი ზღვის სანაპიროზე ჰაერის ტემპერატურა დღისით პლუს 11-16 გრადუსამდე იქნება, ღამით კი თერმომეტრი უჩვენებს 2-7 გრადუს სითბოს, — თქვა საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების განყოფილების წამყვანმა ინჟინერმა მარიამ ალექსიშვილმა. — 4 გრადუსამდე ყინვა, ისიც მხოლოდ ღამით, მოსალოდნელია დასავლეთ საქართველოს მხოლოდ მაღალმთიან რაიონებში. დღისით აქაც ჰაერის ტემპერატურა ადგილმდებარეობის სიმაღლის მიხედვით იქნება — პლუს ერთიდან 13 გრადუსამდე.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ყინვა (მინუს 4 გრადუსამდე) შესაძლებელი იქნება მხოლოდ ცალკეული ღამეების განმავლობაში, დღისით კი აქაც ჰაერი გათბება 8-დან 13 გრადუსამდე. სამაგიეროდ, მაღალმთიანეთში ჰაერის ტემპერატურამ შეიძლება მიაღწიოს მინუს ერთ ნიშნულამდე, ღამით კი 5-10 გრადუსამდე ყინვას.

**კოტე ცხომელიძე.**

ხსოვნა

## თენგიზ ამირანაშვილი

გარდაიცვალა გაერთიანებული სამხედრო აკადემიის კათედრის უფროსი, პოლკოვნიკი თენგიზ შალვას ძე ამირანაშვილი.

დაიბადა 19[illegible] წელს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ [illegible] თავისი შეგნებული ცხოვრება სამხედრო საქმეს დაუკავშირა. დაამთავრა ოდესის სამხედრო სასწავლებელი, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია. განვლო სამეთაურო სამსახურის თითქმის ყველა საფეხური, იყო ბატალიონის მეთაური, აჭარის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი და სხვა.

ქართული შეიარაღებული ძალების შექმნის პირველივე დღეებიდან იგი მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა ახალგაზრდა ოფიცერთა მომზადების საქმეს. ქართული სამხედრო აკადემიის გახსნის შემდეგ კი ის ამ აკადემიის კათედრის უფროსად მიიწვიეს.

პროფესიონალი სამხედრო სპეციალისტის, მგზნებარე პატრიოტის პოლკოვნიკ თენგიზ ამირანაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

**საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო; შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბი; გაერთიანებული სამხედრო აკადემია.**

## ოთარ გაბუნია

ძნელია, ძალიან ძნელია რაიმე დაწერო იმ კაცზე, რომელიც დააკლდა ქალაქს, თავისი კაცური კაცობით დააკლდა ახლობლებს, ცოლ-შვილს, მეგობრებს. ასეთ კაცად იცნობდნენ ოთარ გაბუნიას. სადაც უნდა ეცხოვრა, სადაც უნდა ეშრომა, მასთან ყოფნა უდიდესი სიხარული და უდიდესი ცხოვრებისეული სკოლა იყო. ყველას დამხმარე, ჭკუის დამრიგებელი, აკი ამიტომაც შეარქვეს „ბაბუ", დიდთან — დიდი იყო, პატარასთან — პატარა. ამდენი ცრემლი, ბაბუს რომ გაჰყვა, იშვიათია დღეს. გამოცდილი სპეციალისტი, დიდად განათლებული კაცი, ასეთად დარჩება იგი ყველას ხსოვნაში. სამარადჟამო გულისტკივილი, შეუშრობელი ცრემლი დაგვიტოვა გულში ცოლ-შვილს, შვილიშვილებს, ახლობლებს, ნაცნობ მეგობრებს.

**ოჯახი და ახლობელ-მეგობრები.**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის მუშაკები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შრომისა და ომის ვეტერანი

**ალექსანდრე რუბენის ძე ბარამიძე**

და სამძიმარს უცხადებენ მის ჭირისუფლებს.

ერთობლივი საწარმო მეგაკომი
იქირავებს
კეთილმოწყობილ სახლს
(სასურველია საკუთარი ეზოთი)
ქალაქის ცენტრალურ უბანში.
დაგვირეკეთ ტელეფონებით: 36-49-91, 93-19-50.

იყიდება
კერძო სახლის 1 და მე-3
სართული ეზოთი,
კეკელიძის ქუჩაზე.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: 23-32-39.

ფირმა «ნატალი»
შეისყიდის პატეფონებს, გრამაფონებს
რუსული ფულით, დოლარით.
ტელ: 23-25-71.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის 13 იანვრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ავსტრალიური დოლარი | 91,289.37 | კუპონი |
| ავსტრიული შილინგი | 10,844.27 | კუპონი |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 197,520.18 | კუპონი |
| 10 ბელგიური ფრანკი | 36,497.94 | კუპონი |
| გერმანული მარკა | 76,229.20 | კუპონი |
| ჰოლანდიური გულდენი | 68,070.67 | კუპონი |
| დანიური კრონი | 19,640.45 | კუპონი |
| 100 იტალიური ლირა | 7,752.19 | კუპონი |
| კანადური დოლარი | 100,525.67 | კუპონი |
| ნორვეგიული კრონი | 17,647.65 | კუპონი |
| აშშ დოლარი | 132,342.00 | კუპონი |
| ფინური მარკა | 23,003.76 | კუპონი |
| ფრანგული ფრანკი | 22,400.90 | კუპონი |
| შვედური კრონი | 16,222.90 | კუპონი |
| შვეიცარიული ფრანკი | 89,766.36 | კუპონი |
| 10 იაპონური იენი | 11,763.39 | კუპონი |
| ეკიუ | 147,521.92 | კუპონი |
| 10 ესპანური პესეტა | 9,140.09 | კუპონი |
| 10 ბერძნული დრაქმა | 5,292.66 | კუპონი |
| ირლანდიური გირვანქა | 190,453.75 | კუპონი |
| ისლანდიური კრონი | 1,821.88 | კუპონი |
| კუვეიტური დინარი | 443,803.22 | კუპონი |
| 10 ლიბანური გირვანქა | 774.81 | კუპონი |
| 10 პორტუგალიური ესკუდო | 7,485.05 | კუპონი |
| სინგაპურული დოლარი | 82,714.26 | კუპონი |
| 10 თურქული ლირა | 87.00 | კუპონი |
| 100 რუსული მანეთი | 9500.00 | კუპონი |
| ლიტვური ლიტი | 31,528.60 | კუპონი |
| ლატვიური ლატი | 206,098.70 | კუპონი |
| ესტონური კრონი | 8,814.50 | კუპონი |
| 1000 უკრაინული კარბოვანეცი | 6650.00 | კუპონი |
| ყაზახეთის ტენგე | 14,725.00 | კუპონი |
| მოლდავეთის ლეი | 33,288.95 | კუპონი |
| ყირგიზეთის სომი | 15,258.90 | კუპონი |

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი

### ერთად უნდა ვებრძოლოთ

# მგლების ხროვა თრიალეთის ზეგანზე

## ქვემო ქართლის რეგიონში დაიწყო ბრძოლა სახელმწიფო წესრიგის აღდგენისათვის

**დმანისის პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებიდან რიგრიგობით გამოჰყავთ პატიმრები, ავტობუსებში სხამენ და შეიარაღებული ბადრაგის თანხლებით თბილისს ისტუმრებენ. ქვითინებდნენ პატიმართა ახლობლები, კიოდნენ, გული მისდიოდათ. მათ შორის, ორიოდე აზერბაიჯანელი, დანარჩენი კი, უმეტესად, ქართველი — სვანი დედები და ახალგაზრდა მეუღლეები იყვნენ. ცოდვამ ათასჯერ გადაწონა მადლი, ამიტომ ეს ცრემლი ვერ იწვევდა საყოველთაო თანაგრძნობას. რამდენიმე შეზარხოშებული, თავზეხელაღებული მოქალაქის გარდა, არავინ ცდილა პატიმრების გამოხსნას, თუმცა იმათაც არ გაუვიდათ, ათასჯერ ნაცადმა ხერხმა არ გასჭრა — ამჯერად სიმართლემ და ძალამ იმარჯვეს.**

**რესპუბლიკის** შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ათასორასკაციანი, ტანკებით, ქვეითთა საბრძოლო მანქანებითა და საველე სამზარეულოთი აღჭურვილი ოპერატიული რაზმი თბილისიდან ქვემო ქართლს შვიდ იანვარს, ღამით გავიდა. კოლონა დანიშნულების ადგილზე მშვიდად, ორგანიზებულად, უექსცესებოდ ჩავიდა. რვა იანვრის დილა თენდებოდა, მთებზე თოვლი იდო. სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. მაშინვე გადაკეტეს ქალაქ დმანისის გასასვლელი თითქმის ყველა გზა, ყველაფერი წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით კეთდებოდა. ცალკეული შემთხვევების გარდა, არ შემინიშნავს პანიკა, ალიაქოთი, ერთურთის მოლოდინში უქმად ყოფნა. გულით მიხაროდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, რაღაც ვისწავლეთ, დამოუკიდებლად, საკუთარი ცოდნის, ენერგიისა და გამოცდილების გამოყენებით საქვეყნო საქმის გაკეთებას ვაპირებთ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები უნარიანად ხელმძღვანელობდნენ ოპერაციას, ფრთხილობდნენ, ყოველ წვრილმანს ითვალისწინებდნენ. უდავოდ, დიდი რისკი იყო. ვის გააკვირვებდი, თუ, როგორც არაერთხელ მომხდარა, ახლაც ათასზე მეტ ავტომატიან კაცზე კონტროლს დაკარგავდი, დამნაშავეებთან ერთად ბევრ უდანაშაულოსაც გაამწარებდი და ყაჩაღების, მკვლელებისა და მძარცველების გონს მოსაყვანად, რეგიონში სახელმწიფო წესრიგის აღსადგენად ჩაფიქრებული სპეციალური ოპერაცია ჩვენთვის ავად მოსაგონარი დროების „ეგზეკუციას" თუ „წმენდას" დაემსგავსებოდა. საბედნიეროდ, ამჯერად ყველაფერი ცივილიზებულად კეთდებოდა. ათ-ოცკაციანი რაზმები წინასწარ მითითებულ მისამართზე მიდიოდნენ: — „შენ შენი ხალხით ჟუჟერის თხუთმეტში წახვალ!"..

— „შენ — ნანა დედოფლის ოცდათორმეტში!".. „შენ ფილტრაციის სამუშაოებს შეასრულებ!"... ისმოდა მოკლე და საქმიანი ბრძანებები.

ოპერაცია კინაღამ შეყოვნდა, როცა ადგილობრივი პოლიციის ბევრმა თანამშრომელმა არ ისურვა ოპერატიული რაზმებისთვის გიდობის გაწევა, „თქვენ წახვალთ, ჩვენ კი აქ უნდა დავრჩეთო", ფეხს ითრევდნენ. უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი პოლიცია, დამნაშავეთა სამყაროს მიერ დაშინებული, ყოჩაღად ვერ გამოიყურებოდა, თუმცა ზოგიერთმა უმალ მოიშორა ბოროტი ძალებისადმი „მოწიწების" კომპლექსი და თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გაეწყო.

ქვემო ქართლის მშვიდობიანი, მშრომელი მოსახლეობა დიდი ხანია ძრწის ყაჩაღებისა და მძარცველების შიშით. მართალია, პოლიცია ვერ უმსუბუქებდა ადამიანებს ამ ტვირთს, მაგრამ უქმად, გულხელდაკრეფილი არ იჯდა, ბევრ დამნაშავეს იჭერდა, ბევრზეც „საქმეს" ადგენდა, შეძლებისდაგვარად ეძებდა... ამიტომ სპეციალური ოპერაციის წინ დამნაშავეთა ვინაობა პოლიციამ ძირითადად იცოდა და მათი დაპატიმრება, როგორც ფეხბურთელები ამბობენ, ტექნიკის საქმე იყო.

ერთი ჯგუფი სააკაძის ქუჩაზე გაამწესეს. ოთხასი-ხუთასი მეტრის შემდეგ ავტობუსი სოფლის გზაზე გავიდა. ყეფდნენ ძაღლები, ყიოდნენ მამლები. ალაგ-ალაგ საკვამურიდან ბოლი იკლაკნებოდა. თანამედროვე სტილით აშენებულ, მოზრდილ სვანურ სოფელში არაჩვეულებრივი დილა გათენდა. ცნობისმოყვარე ბალღები ეზოებში გამორბოდნენ, დიდები ფანჯრებს აკვროდნენ და შეშინებული იჭვრიტებოდნენ. შობის დღეებში სამოყვროდ, საქეიფოდ დადიოდა ქართველთან ქართველი. საუბედუროდ, იმდენად დაკნინდა ზოგიერთი, იმდენი ბოროტება და ეშმაკი აზეიმა, რომ თავისიანებსაც გაუმწარა სიცოცხლე — მთელ კუთხეს და მთელ ხალხს თავი დასჯილად აგრძნობინა, ჩირქი მოსცხო.

ეს თავისი ავკაცობით საქვეყნოდ ცნობილი ამირან გადრანის ოჯახია. შეცბა მოხუცი მამა, გაშრა სირცხვილისა და მოულოდნელობისაგან. შვილი შვილია, მაგრამ ვის არ რცხვენია დამნაშავის, თანაც ასეთი დამნაშავის მამობა! ძებნილი სახლში არ აღმოჩნდა. „მესტიაშიაო", თქვეს ძმებმა...

ოპერაცია დმანისსა და ბოლნისში ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა.

მოჰყავდათ და მოჰყავდათ დაპატიმრებულები. სრული დატვირთვით მუშაობდა შტაბი, ერთი წუთითაც ვერ იცლიდნენ გამომძიებლები: მოჰყავდათ მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, მოჰქონდათ ტყვია-წამლით სავსე ყუთები, ნარკოტიკული ნივთიერებით გატენილი ტომრები, შპრიცები, ჯარისკაცისა და პოლიციელის ფორმები, ავტომატები, თოფები, დამბაჩები, ტყვიამფრქვევი...

ვინმე ადუაშვილის ეზოში ფქვილით დატვირთული მანქანა ნახეს. „ჩემმა ძმამ, გიორგიმ, იყიდაო", განაცხადა დაპატიმრებულმა მანონ ადუაშვილმა. პატრონს ფქვილის შესყიდვის არავითარი დოკუმენტი არ ჰქონდა, — „რას გეძახიან, მეტსახელად", — ეკითხება მანონ ადუაშვილს ქვემო ქართლის რეგიონული პოლიციის უფროსის მოადგილე ფრიდონ კენკებაშვილი.

— „არაფერს", — იუარა მან.

— „გეძახიან!" — არ მოეშვა ფრიდონ კენკებაშვილი.

— „კი, მაგრამ მე ბევრი მეტსახელი მაქვს", — გატყდა ის ბოლოს და ბოლოს.

— „მაინც"?

— „ზაქს" მეძახიან"...

სტადიონზე ოპერატიული რაზმის წევრები პურსა და ცხელ წვნიანზე რომ მიიწვიეს, ბავშვების მთელი არმია შეიკრიბა. არ შეერგოთ ბიჭებს, დიდსულოვნად უწილადეს ბავშვებს ულუფა.

— „გვიჭირს, შვილებო, — თქვა ერთმა იქაურმა მცხოვრებმა, — „რამეს თუ ვშოულობთ, სულ ამათ ხახაში მიდის, აღარ ვართ ხალხი, აღარ შეგვიძლია"...

„ქალაქის საკრებულოს შენობა იწვისო", დაახლოებით ათ საათზე გამოცხადდა განგაში. მიზეზი რომ ვკითხეთ, პოლიციის უფროსმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და თქვა: „ამ დილით ქალაქის მერი დააპატიმრეს"...

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო სამმართველოს საინფორმაციო სამსახურის პირველადი მონაცემებით, ბოლნის-დმანისის რეგიონში 7-9 იანვარს განხორციელებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, დაკავებულია სხვადასხვა სამართალდარღვევებში (ყაჩაღობა, ქურდობა, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცება, მკვლელობა და ა. შ.) ეჭვმიტანილი 76 კაცი. ოპერატიული რაზმის წევრებმა დამნაშავეებს ჩამოართვეს 81 ავტომატი, 47 მსუბუქი და 9 სატვირთო ავტომანქანა, 111 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, 39 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმის ასაფეთქებელი მოწყობილობა, 450 ხელყუმბარა, 4840 სხვადასხვა სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნა, 36 „ალაზნის" ტიპის რაკეტა და სხვა სამხედრო აღჭურვილობა.**

ჩეფხან ოთხვანის სახლში სამი ტომარა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი კანაფის თესლი იპოვეს. „ვიღაცამ შემომიგდოო", თავი ქვას შეუშვირა და არ გატყდა ჩეფხანი. არ დაუჯერეს, ამდენს შემოსაგდებლად ვინ გაიმეტებდაო. მას ბოლნისის საბაჟოს ინსპექტორის მოწმობა ედო ჯიბეში და თავს „მხედრიონელად" ასაღებდა.

გიორგი ცალანმა კი განაცხადა, ეგრეთ წოდებული „კანაფისგან", რომელსაც სვანურად „ქანი" ჰქვია, თესლს კი — „გიმბაშე", საოჯახო ზეთი უნდა გამომეხადა; მისგან მშვენიერი კერძიც მზადდებაო. ეს მცენარე მას ათას კვადრატულ მეტრზე ეთესა. რომ დაეცლიათ, მთელი წლის სამყოფ „ზეთს" გამოხდიდი, ალბათ.

ოპერაციას მასშტაბური შედეგები ჰქონდა, მაგრამ ბევრი საშიში დამნაშავე მაინც არ მოხვდა მის ბადეში. ამ რეგიონში დარჩნენ და კვლავ მუშაობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული ჯგუფები. იმედია, სულ მალე ბოლნის-დმანისის რაიონებში ყაჩაღ-მძარცველების სახსენებელიც კი აღარ დარჩება.

„სვანეთში მინდა წასვლა, მაგრამ ვერ წავსულვარ. ზუგდიდი-მესტიის გზაზე ისეთი ამბებია, ენით ვერ აღწერ, ნეტა დმანისივით იქაურობასაც „გაწმენდნენ", შემომჩივლა ერთმა სვანმა, რომელსაც, ჩვენი უტრანსპორტობის წყალობით, ამ ორშაბათს დავემგზავრე.

არავინ გამორიცხავს, რომ ბევრი დამნაშავე ორმაგ თამაშს ეწევა — დასავლეთშიც „მუშაობს" და აღმოსავლეთშიც. ამას ისიც ადასტურებს, რომ დაპატიმრებულთა სოლიდური ნაწილი ჩაუწერავად ცხოვრობდა დმანისში და, ძირითადად, შორეული სვანეთიდან — ჰუბერიდან და სხვა სოფლებიდან იყო ჩამოსული.

ცნობისათვის ვიტყვი, რომ 26 დეკემბერს ზუგდიდი-მესტიის გზაზე 25 ყაჩაღი დააპატიმრეს. ისინი 11 გატაცებულ ადამიანში თითო მილიონ მანეთს მოითხოვდნენ.

დმანისის პოლიციის შენობისწინა მოედნიდან მთელი დღის განმავლობაში ფეხი არ მოუცვლიათ დაპატიმრებულთა ახლობლებს, მეუღლეებს... ბევრ მათგანს — ახალგაზრდა სიმპათიურ ქალებს — თითო შვილებიც მოეყვანათ. შევყურებდი მათ და ვფიქრობდი: ავკაცობით, ძარცვა-გლეჯით და ყაჩაღობით, ოჯახებსა და შვილებზე უკეთესი, ნეტა, რა განძი უნდა ეპოვათ 20-25 წლის ძალღონით სავსე ვაჟკაცებს? ასანთის ყუთივით მცირე საკნის სარკმელი რატომ არჩიეს თრიალეთისა და სვანეთის თავისუფალ სივრცეებს?..

**ზაურ მაკარაძე.**

მთავარი რედაქტორი ზურაბ ხოზიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები; მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის [illegible] პოლიგრაფიული წუნის [illegible] „სამშობლოს" [illegible] კორპუსში; თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერი [illegible].

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

შეკვეთა